საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 11 ნოემბერი, 2014 წელი.

№229 (7610)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ ყველა ოპოზიციური პარტიის გააქტიურებას მივესალმებით, უფრო საინტერესო იქნება პოლიტიკური ცხოვრება!

გასული კვირა პოლიტიკური მოვლენებით იმდენად მრავალფეროვანი და მოულოდნელი იყო, რომ მრავალ პოლიტიკოსს, პოლიტოლოგსა და უბრალო მოქალაქეს, რომ იტყვიან, თავგზა აუბნია. ყოფილი თანაგუნდელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს, არამარტო საქართველოს მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებს, არამედ უცხოელ მტერმოყვარესაც სალაპარაკო გაუჩინეს. საინტერესოა რას ფიქრობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი** ყოველივე ამაზე, რადგან მოვლენების ეპიცენტრში იგი არა მარტო ერთ-ერთი პოლიტიკოსი, არამედ ყველაზე მთავარი მოქმედი გმირიც გახლდათ. მაშ ასე, პრემიერის აზრი „თავისუფალ დემოკრატებზე“, მათ ახალ თავმჯდომარესა და ყოფილ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიაზე, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის განცხადებაზე, საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე მოკლედ იხილეთ ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე.

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში 14 ნოემბერს გამოვა

14 ნოემბერს 12:00 საათზე პარლამენტის პლენარული სხდომა პრეზიდენტის გამოსვლით დაიწყება. პრეზიდენტის შემდეგ საპარლამენტო ტრიბუნას პარლამენტის თავმჯდომარე დაიკავებს და ამით პროცესი დასრულდება.

პრეზიდენტის პარლამენტში მოსვლის და მისი მოსმენის ფორმაზე გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე მიიღეს.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის წინადადებაა, რომ პრეზიდენტის მიმართვის შემდეგ პარლამენტის სახელით განცხადება გააკეთოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის მიმართვა დებატების გამართვის შესახებ გარკვეულ მოსაზრებებს ან რეზოლუციის მიღების სურვილს გააჩენს, ამაზე შემდგომ საპარლამენტო სხდომებზე იმსჯელებენ.

პრეზიდენტს პარლამენტში მისვლა და სიტყვით გამოსვლა ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსთან დაკავშირებულ საკითხებზე სურს.

ქართველი ჭირინოვსკი



5

შალვა-ნათი მარტოოდენ ენაა თუ კაცია?!

გულიანი კაცი, რომელსაც უკან მოხედვის არ ერცხვინება!

7

ქართველი კაცის დოპინგი სამშობლოს სიყვარულია

6

მიხეილ სააკაშვილს ბრალი დაუმძიმდა

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და სხვა მაღალჩინოსნებს ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ბრალი დაუმძიმდათ.

აღნიშნულ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს. პროკურატურის განცხადებას „უცვლელად გთავაზობთ:

„მიხეილ სააკაშვილს და სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებს ვ.გელაშვილის ცემის ფაქტზე ბრალი დაუმძიმდათ. საქართველოს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის და მისი ცემის საქმეზე, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ივანე მერაბიშვილს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ერეკლე კოდუას და ამავე დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილ უფროსს გია სირაძეს ბრალდებები დაუმძიმდათ.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პირველადი დასკვნით ვალერი გელაშვილს დადგენილი ჰქონდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. დაზარალებულის მიერ ლიტვაში ჩატარებული ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით და შემდგომში ლიტველი და ქართველი ექსპერტების ერთობლივი კომისიური საექსპერტო კვლევის შედეგად, ვალერი გელაშვილს დაუდგინდა სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება.

ასევე გამოძიების მიერ მოპოვებულია მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ვალერი გელაშვილზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის შედეგად, დაზარალებულისაგან გატაცებული ძვირად ღირებული პირადი ნივთებისა და დიდი ოდენობით ფულადი თანხის ერეკლე კოდუასა და გია სირაძის მიერ მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას.

გამოძიებით დადგენილმა ამ ახალმა ფაქტობრივმა გარემოებებმა გამოიწვიეს ბრალდებების დამძიმება, კერძოდ:

მიხეილ სააკაშვილს და ივანე მერაბიშვილს, რომელთაც ბრალად ედებოდათ ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, დაუმძიმდათ ბრალდება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

იხ. 2 გვ.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრემიერი

„თავისუფალმა დემოკრატებმა" კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალური იქნებიან

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, „თავისუფალი დემოკრატების" ოპოზიციაში გადასვლით, პოლიტიკური ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას განაცხადა, ის ყველა ოპოზიციური პარტიის გააქტიურებას მიესალმება.

„ყველა ადამიანი თავისუფალია თავის ქმედებაში. ჩვენ მივესალმებით ყველა ოპოზიციურ პარტიას. მათ კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს, რომ ისინი არიან და იქნებიან ლოიალური ნაციონალური მოძრაობის მიმართ, რაც ძალიან კარგია. ეს მათი არჩევანია. ჩვენ ყველა ოპოზიციური პარტიის გააქტიურებას მივესალმებით, უფრო საინტერესო იქნება პოლიტიკური ცხოვრება", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება მინისტრობის ახალ კანდიდატებს, ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, აღნიშნული კონსულტაციები ჯერ არ დასრულებულა.

გარდა ამისა, პრემიერმა ბრიუსელში დაგეგმილ ვიზიტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამთავრობო დელეგაცია ამისთვის სერიოზულად ემზადება.

პოლიტიკა არ არის პოდიუმზე სიარული და კეკლუცობა

მთავრობის მეთაურმა თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ალასანიაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ რაც ალასანიამ ვერ შეძლო 2 წლის განმავლობაში – სამხედროების კვების საკითხის მოწესრიგება, ალექსანდრე ჭიკაიძემ ერთ წელიწადში უზრუნველყო.

„კვება ვერ მოაწესრიგა ორი წლის მანძილზე და 880 სამხედრო, ჩვენი გმირი ჯარისკაცები მოიწამლნენ. რაზეა საერთოდ საუბარი? პოლიტიკა არ არის პოდიუმზე სიარული, კეკლუცობა და გაპრანჭული საუბარი. ჩვენ არ გვცალია და არ გვაქვს დრო იმისთვის, რომ ვასიამოვნოთ ვიღაც-ვიღაცებს. ჩვენ ვაკეთებთ საქმეს ხალხისთვის. ეს არის ჩემთვის მთავარი", – განმარტა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრი საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებებასაც გამოეხმაურა.

„გუშინ მოვისმინეთ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის განცხადება, რომ თურმე მე უნდა გადავმდგარიყავი. აი, თურმე რა ჰქონდათ ჩაფიქრებული. ეს ძალიან არასერიოზული შეფასებაა მათი მხრიდან. ამით კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ მოწოდებულნი ემსახურათ სახელმწიფოსთვის. მათ რეალურად სრულად ჩამოიხსნეს ნიღაბი და გამოაჩინეს საკუთარი სახე. თვითლუსტრირება მოახდინეს. დიდი სინანულით მინდა, აღვნიშნო, რომ ორი წლის განმავლობაში მე რეალურად სხვა ადამიანებს ვუყურებდი. ძალიან სამწუხაროა ის განცხადებები და ქმედებები, რაც განახორციელა მაია ფანჯიკიძემ, ირაკლი ალასანიაზე აღარ ვლაპარაკობ", – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საზღვრების ურღვევობა, სახელმწიფოებრიობა, მესაზღვრეების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს საზღვრების ურღვევობა, სახელმწიფოებრიობა, მესაზღვრეების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა სასაზღვრო პოლიციაში 2014 წელს განხორციელებული სასაზღვრო ინფრასტრუქტურული პროექტების ოფიციალურ პრეზენტაციაზე განაცხადა.

პრემიერმა მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს, სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელს, გენერალ-მაიორ ზურაბ გამეზარდაშვილს და სახელმწიფო საზღვრის დამცველებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე მიმართა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს რიჩარდ ნორლანდს და აშშ-ის მიერ გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

„სულ ახლახან სამხედრო-საზღვაო ძალების გემების საქართველოში მეგობრული ვიზიტის დროს, დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გავაცანით საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის მთავრობის წვლილი. სწორედ აშშ-ის დახმარებით აღიჭურვა სასაზღვრო პოლიციის საზღვრის მართვის სისტემის კავშირგაბმულობა თანამედროვე ტექნიკით და დასრულდა მონტაჟი. ეს გაცილებით ეფექტიანს და მოქნილს გახდის სახელმწიფო საზღვრის ოპერატიულ მართვას. ეს იქნება მართვის და კონტროლის იმ გლობალური სისტემის საფუძველი, რომლის იმპელემენტაციასაც ჩვენი მთავრობა ახლო მომავალში გეგმავს", – განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2014 წელს აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 10 სასაზღვრო სექტორი. ესენია: 2 სასაზღვრო სექტორი თურქეთის საზღვარზე, 3 – სომხეთის საზღვარზე, 2 - საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე და 3 – საქართველო- რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე. პრემიერის განცხადებით, ჯამში 13 მილიონი ლარი დაიხარჯა.

სააკაშვილი საკუთარი საჭიროებისთვის ორ ვერტმფრენს 40 მილიონად ყიდულობდა

„ჩვენთვის სრულიად მიუღებელია წლების განმავლობაში დამკვიდრებული ის მანკიერი მიდგომა, რომ იმ მონაკვეთებზე, რაც არ ჩანდა, მასზე სახელმწიფო დიდად არ ზრუნავდა. სასაზღვო პოლიციას არ ჰყავდა შვეულმფრენები, მაშინ, როდესაც, ჩვენდა სასირცხვილოდ პრეზიდენტი სააკაშვილი 40 მილიონად ყიდულობდა 2 ვერტმფრენს საკუთარი საჭიროებისთვის. ჩვენ დროს სრულად გარემონტდა ვერტმფრენები, აღიჭურვა ტექნიკით და ამაში დამატებით დაიხარჯა 7 მილიონი ლარი. სახელმწიფო საზღვრის დაცვაში მონაწილე მესაზღვრეებს ორ ეტაპად გაეზარდათ თანამდებობრივი სარგოები. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ აღმოსავლეთთან პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ნოემბრის ბოლოდან იწყება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის 5 სასაზღვრო სექტორის მშენებლობა და ასევე იწყება საქართველო-თურქეთის დემარკირებულ საზღვარზე ინფრასტრუქტურის მოწყობა", –- განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის.

„წელს ჩატარდა სასაზღვრო ინფრასტრუქტურის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციაც. მიუხედავად ამისა, პატივცემულო ელჩებო, თქვენი ქვეყნების მთავრობების დახმარება არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ საკითხში. საზღვრების უსაფრთოების უზრუნველყოფა არის ჩვენი ძირითადი სახელმწიფოებრი მიზანი და ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს ამ მიზნის მისაღწევად. ჩვენ დავიცავთ სასაზღვრო ძალების უმნიშვნელოვანეს პრინციპს და ეს არის სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის გზით საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას, არა მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში, არამედ რეგიონში. ყველა ქვეყანას ვუსურვებ წინსვლას და ამასვე ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო თანამეგობრობის მიერ საერთაშორო სამართლით აღიარებული საზღვრების ფარგლებში", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერმა გურამ გუგენიშვილის ოჯახს მიუსამძიმრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქართველი სპორტსმენის, მსოფლიო ჩემპიონის გურამ გუგენიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„დიდ მწუხარებას გამოვთქვამ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის, მსოფლიო ჩემპიონის გურამ გუგენიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. გურამ გუგენიშვილის ასპარეზობა ყოველთვის ექცეოდა ყურადღების ცენტრში. მას ძალიან წარმატებული კარიერა ჰქონდა და სიამაყით გვავსებდა ყველას. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ის ასე ახალგაზრდა – 28 წლისა წავიდა ჩვენგან, მაშინ, როცა წინ კიდევ ბევრი წარმატება ელოდა. გულწრფელად თანავუგრძნობ გურამის ოჯახს, მეგობრებს, სპორტსმენებს, მის გულშემატკივრებს, მთელს საქართველოს", – ნათქვამია პრემიერის სამძიმრის წერილში.

მიხეილ სააკაშვილს ბრალი დაუმძიმდა

(პირველი გვერდიდან)

ერეკლე კოდუას და გია სირაძეს, რომელთაც ბრალად ედებოდათ ძალადობით და იარაღის გამოყენებით, სამსახურებრივი-უფლებამოსილების გადამეტება, აგრეთვე სხვისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის ძალადობით მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და 237-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, დაუმძიმდათ ბრალდებები სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისთვის და ყაჩაღობისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ემუხლის მეხუთე ნაწილის „ე" ქვეპუნქტით და 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2005 წლის 29 ივნისს, გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელი წევრის ვალერი გელაშვილის სტატია სათაურით „ვალერი გელაშვილი თავის სახლს სააკაშვილს დაუთმობს". აღნიშნულ სტატიაში ვალერი გელაშვილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას მოქმედი პრეზიდენტის მიმართ, კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ მას წაართვეს ქონება, რომლის ღირებულებასაც არ უნაზღაურებდნენ. ამავე სტატიაში მან შეურაცხმყოფელი ფორმით ისაუბრა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირადი ცხოვრების შესახებ.

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის სამაგალითოდ დასჯის მიზნით, პირადი შურისძიების მოტივით, საქართველოს თავდაცვის იმჟამინდელ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა მოეხდინა ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რაზედაც ირაკლი ოქრუაშვილისაგან მიიღო უარი. ამის გამო, მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის ფიზიკური ანგარიშსწორება დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს ივანე მერაბიშვილს.

დავალების მიღების შემდეგ ივანე მერაბიშვილმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის ერეკლე კოდუას ორგანიზებით უზრუნველყო მიხეილ სააკაშვილის დავალების ზედმიწევნით შესრულება, რომელიც განხორციელდა 2005 წლის 14 ივლისს. კერძოდ, სოდ-ის ოპერატიულმა თანამშრომლებმა და შეიარაღებული სპეციალური რაზმის მებრძოლებმა, ქ.თბილისში, მირცხულავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილებისას, მოახდინეს ვალერი გელაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ბლოკირება, რის შემდეგაც თავს დაესხნენ ვალერი გელაშვილს და მის თანმხლებ პირებს. ერეკლე კოდუას დავალებითა და სოდ-ის სამმართველოს უფროსის გიორგი სირაძის ხელმძღვანელობით, მოქმედმა სპეციალური რაზმის მებრძოლებმა ძალის გამოყენებით და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ავტომანქანიდან თანმხლებ პირებთან ერთად გადმოიყვანეს ვალერი გელაშვილი, რომელიც დააწვინეს ასფალტზე, იარაღის კონდახებით სასტიკად ცემეს და გაიტაცეს ვალერი გელაშვილის კანონიერ მფლობელობაში არსებული „Heckler Koch"-ის მარკის ცეცხლსასროლი იარაღი, ფულადი თანხა – 10 000 აშშ დოლარი და ბეჭედი, ღირებული 50 000 ლარად.

დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ვალერი გელაშვილმა მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და რომელმაც გამოიწვია სახის წარუხოცელი დამახინჯება.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ვალერი გელაშვილის მიმართ მომხდარი ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2005 წლის 14 ივლისს, თუმცა, იმ პერიოდში საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად არ განხორციელებულა არცერთი ქმედითი საგამოძიებო მოქმედება და 2013 წელს საქმეზე გამოძიების განახლებამდე აღნიშნული ფაქტი იყო გაუხსნელი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 237-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე" ქვეპუნქტით და 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 14 წლამდე ვადით", – აღნიშნულია განცხადებაში.

ინფორმაცია

სოზარ სუბარი ფოთში დევნილებს შეხვდა

ფოთში, ახალ რაიონში მდებარე 32 კორპუსი, სადაც დევნილები ცხოვრობენ, თბო და ჰიდროიზოლაციით შეიფუთება. ეს განცხადება იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრისას მინისტრმა სოზარ სუბარმა გააცნო.

შეხვედრას ესწრებოდნენ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბესელია, ქალაქის მერი ირაკლი კაკულია და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე კობა ქანთარია.

როგორც სოზარ სუბარმა დევნილებს განუმარტა, მთავრობის გადაწყვეტილებით სამუშაოების შესასრულებლად 2 მილიონ 500 ათასი ლარი გამოიყო.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს უახლოეს მომავალში დაიწყებს. ფოთში დევნილთათვის 32 კორპუსი 2011 წელს აშენდა, სადაც 1054 ოჯახი ცხოვრობს.

შეიცვლება ქართული პოლიტიკის ვექტორი?

დიდი ძვრებია ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. გადააყენეს თავდაცვის მინისტრი ალასანია და სოლიდარობის ნიშნად, მას მიჰყვნენ ალასანიას პარტიის წევრები, უფრო სწორად, ნათესავ-მეგობარი მინისტრები, თავიანთი გუნდებით.

მაინც რა „საშური“ სიტყვა გამოიძებნა ქართულ პოლიტიკაში — „გუნდი“. „მე, მოვდივარ ჩემი გუნდით“ — და ა.შ. სიტყვა „გუნდისთვის“ პოლიტიკური დატვირთვის მინიჭებამდე — მას (სიტყვას) ძირითადად სპორტში ხმარობდნენ. რით არის პოლიტიკა სპორტზე ნაკლები — იფიქრეს ჩვენმა ყმაწვილმა „პოლიტიკოსებმა“ — სპორტის და არა პოლიტიკისთვის შესაფერის ასაკში მყოფებმა და ლამის გულის ფიცარზე გაიკრეს — „ჩვენ, ჩვენი გუნდი გვყავს“.

თავიანთი გუნდები ჰყავდათ ახლო ნათესავებს — ალასანია-ფანჯიკიძეს და გუნდებიანად გადადგნენ. არავის უკითხავს, ჯერჯერობით, 2 წლის განმავლობაში ამ „ყოჩაღმა“ მინისტრებმა რა შესძინეს საკუთარ ქვეყანას. საკუთარ თავს რომ ბევრი შესძინეს, ვიცით — არა მარტო უზომო ხელფასების, ხელფასზე დანამატებისა და პრემიების სახით, სხვას ალბათ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე შემოწმება-გამოძიება დაადგენს.

თითოეულმა წასულმა მინისტრმა ისე ფართოდ და მგზნებარედ ილაპარაკა ორი წლის განმავლობაში მათ მიერ გაკეთებულ საქმეებზე — ყვავს ჩამოაგდებდა ხიდან. ევროატლანტიკურ სივრცესთან ჩახუტება, ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის დოკუმენტზე ხელის მოწერა, ოკეანიაში არსებული მიკროსახელმწიფოების დაყოლიება და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარის თქმის დაძალება (ისინიც „მაგრები“ არიან), ქართული არმიის დეპოლიტიზება, ნატოსთან დაახლოება და ა.შ.

გადამდგარები ერთხმად აცხადებდნენ, რომ მათი დაუღალავი შრომით მოხდა ევროკავშირ-ნატოსთან დაახლოება. რომ არა ისინი — არ მოხდებოდა ევროპასთან ტუჩებში კოცნა, რუსები რომ „ზასოსს“ უწოდებენ. მაშ, სააკაშვილმა რა თქვას? ისიც ხომ იგივეს იჩემებს, თითქმის 20 წელიწადია?

კაცს უყვარს ტრაბახი, მით უმეტეს ქართველს, მით უმეტეს პოლიტიკოსს, მაგრამ წინასწარმეტყველებაც უყვარს — პროვოკაციაში გადასული, ავის მომასწავებელი. დამოუკიდებლობის წლებში არაერთი ასეთი გავიგეთ — მე წავალ და სოფელი-სოფელს დაერევა, ქალაქი-ქალაქს, დასავლეთი-აღმოსავლეთსო, ან მე წავალ და იქნება ქაოსი, განუკითხაობა, დიქტატურა.

„ჩვენ მივდივართ და ვამბობთ, რომ საქართველოს ევროატლანტიკური სივრცისკენ სვლას, მაღალი ბარიერები შეექმნება, რაც რუსეთის ინტერესებშია — იყო ალასანიების ნათქვამის ძირითადი მოტივი.

ევროატლანტიკური ვექტორის საკუთარ თავთან გაიგივება არის ის მთავარი რამ, რაც ღიად იკითხება სამივე მინისტრის განცხადებაში. გარდა ამისა, არის პრემიერისა და მთავრობის დადანაშაულების მცდელობა ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევისათვის.

„მე ვარ ევროპა, პროგრესი, სინათლე გრძელი გვირაბის ბოლოს, ბედნიერება და სიკეთე. არ ვიქნები მე (ჩვენ), არ იქნება ყოველივე ეს. და რახან ასეა, არავინ უნდა შეგვბედოს ჩვენი უწყების შემოწმება, არავინ უნდა დაგვადანაშაულოს „უმნიშვნელო“ გადაცდომაში. ჩვენ თავისუფლად უნდა ვინავარდოთ მსოფლიოში, ვხარჯოთ სახელმწიფო ბიუჯეტის ფული, ვინაიდან ჩვენ ვართ ქვეყნის გადამრჩენლები (იქნებ დამანგრევლები?)“, — დაახლოებით ასეთი იყო გადამდგართა ბოლო სიტყვა.

ალასანიასა და ალასანიების გამოსათხოვარი განცხადებებიდან ჩანს საკუთარი განდიდების მცდელობა, უზომო ამბიციები — მეტიჩრობაში გადასული, არასახელმწიფოებრივი მიდგომა საკითხებისადმი, ზედაპირული ცინიკური დამოკიდებულება მთავრობისადმი და, რაც მთავარია, ქვეყნისადმი.

თუ სიღრმისეულად შევაფასებთ ბედოვლათი სამი მინისტრის ორწლიან მოღვაწეობას, დავინახავთ აუწყობელ აპარატებს, გამოუცდელი, არაპროფესიონალი ნათესავ-მეგობრების შეყრას აპარატებში, უცხოურ ვოიაჟებში უამრავი ფულის ყრას და ა.შ. და ძალზე ცოტა სასიკეთო საქმეს ქვეყნისთვის.

პირიქით, ალასანიას მოუზომავმა, მეტიჩრულმა განცხადებებმა ნატოს საწვრთნელი ბაზის საქართველოში განთავსებასა და საჰაერო სისტემების შეძენასთან დაკავშირებით — შემაშფოთებელი რეაქცია გამოიწვია როგორც შინ, ისე გარეთ.

ალასანია მუდამ გაიძახოდა კოლექტიურ მმართველობაზე, თუმცა, საქმით შორს იყო ამისგან. მას თავი ისეთ პოლიტიკოსად, მინისტრად წარმოედგინა, ათი თავით რომ სჯობს ყველა კოლეგას. ასეთები ქვეყნისთვის სახიფათონი არიან. ასეთთაგან ქვეყანა მუდამ უნდა მოელოდეს კინკლაობას, ჩხუბს, არაობიექტურობას, დანაშაულის დაფარვას და სხვა.

წასული სამეულის სიტყვით — ევროპისკენ გზა მათ გაკვალეს. არა, პატივცემულო მკითხველო. მათი ნათქვამი შორს არის სინამდვილისგან. და რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების ავტორი და მთავარი შემოქმედი ვაშინგტონ-ბრიუსელი და კულუარებში მყოფი რუსეთია.

ერთი წუთით დავფიქრდეთ და ვთქვათ — მათ რომ ამის სურვილი არ გასჩენოდათ, იქნებოდა სვლა ევროპისკენ? არამცდაარამც. ვინ იყო პროექტ „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ავტორი და შემსრულებელი? — აშშ-ის პრეზიდენტი კლინტონი და მისი ადმინისტრაცია და არა შევარდნაძე ან რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის ლიდერი.

მაინც რა ამოძრავებდა იმჟამინდელ აშშ-ის ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ნატოსთან დაახლოების საქმეში? რუსეთთან მეტოქეობა, რუსეთის, მტრულად განწყობილი ქვეყნების რკალში მოქცევა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. უკრაინა ამის მაგალითია.

რას მიაღწია აშშ-მა ამ ფრონტზე? რუსეთის ყურადღების გადატანას აღმშენებლობიდან თავდაცვისუნარიანობის გაზრდაზე, ანუ იძულებით ფულის ხარჯვას, რაც საბოლოო ჯამში ისე დაასუსტებს რუსეთს, რომ მოსახლეობას აამხედრებს საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ვიდრე ეს მოხდება, რუსეთთან ჭიდილში უკრაინა დაიქცა და თან ისე, მრავალი ათეული წელიწადი რომ დასჭირდება ფეხზე დასადგომად. რუსეთს შეექმნა პრობლემები, მაგრამ არა ისეთი, ვაშინგტონი რომ გეგმავდა.

და ამ დროს ვაშინგტონის პოლიტიკოსების მიერ წაქეზებული ალასანიას მეტიჩრული გამოხდომები — ნატოს სასწავლო ცენტრისა და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით და მათზე მოყოლებული შემაშფოთებელი რუსული პასუხი.

აშშ არის ინიციატორი საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისა და არა ალასანია, ფანჯიკიძე, პეტრიაშვილი და მათი „გუნდები“. ასე, რომ, ძვირფასო ყოფილო მინისტრებო, მშვიდად შეგიძლიათ, იძინოთ, უთქვენოდ საქართველო არ დაინგრევა, აი თქვენიანად კი— უდავოდ დაინგრეოდა, ვინაიდან თქვენი მენტალიტეტის მატარებელი „პოლიტიკოსები“ სამშობლოს საკუთარი კუჭიდან უყურებენ და არა გულიდან ან გონებიდან.

გულისა და გონების პატრონი პოლიტიკოსი არ გადაჰყვება გადამთიელის ფოჩიან კამფეტებს, ქვეყანას არ შემოდებს ყოფნა-არყოფნის სასწორზე. აგრესიული პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთო — აცხადებდნენ სამივენი და წამითაც არ ებადებოდათ კითხვა, შეძლებდა თუ არა საქართველო ამას, მოჰყვებოდა თუ არა ამ ქმედებას დიდი მეზობლის საკადრისი პასუხი.

სამეულის პროვოკაციულ განცხადებას უმალ მოჰყვა სამეულის — ცისკარიშვილის, ლაგაზიძის, ხოშტარიას ისტერიული თავშიცემა და მოთქმა — ქვეყანაში კრიზისიაო, საქართველო უხვევს გზიდანო და ა.შ. და იყო ივანიშვილ-ღარიბაშვილის ლანძღვა — ხალხის არჩევანი ფეხებზე დაიკიდესო. პოლიტოლოგიაც ასეთი უნდა.

ჯერ ერთი, საქართველოს მთავრობას მსგავსი არაფერი უთქვამს — „სანუკვარი“ გზიდან გადახვევასთან დაკავშირებით. პირიქით, სულ იმის ძახილშია — იქით მივდივართო (ისე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა დამუხრუჭება).

მეორეც, საქართველომ რომ უარი თქვას, დასავლეთი და კერძოდ, აშშ დინჯად და მოთმინებით შეეგუებიან ამ ამბავს? ყველაფერს იღონებენ იმ „თავისუფლების უღელში“ საქართველოს შესაბმელად, რომლის ტერიტორიაც რუსეთისთვის მუდმივი პრობლემების შექმნის წყარო იქნება.

კოალიცია დაიშლებაო და ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნებაო — გაიძახოდნენ ისინი და სხვებიც.

მოდით ნათელი გონებით განვიხილოთ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი — ის, ვინც პარლამენტშია, ქართველები არიან — უპირველესად მიწიერნი, „ჯერ თავო და თავოს“ კონცეფციის მატარებლები, ერთობ დიდი რეალისტები, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურ „ხარაკირს“ ისინი არ გაიკეთებენ. არ დაშლიან პარლამენტს და არ დააყენებენ საკუთარ კეთილდღეობას ეჭვქვეშ.

წინ საპარლამენტო ცხოვრების ორი წელიწადია. რა სჯობს, ქუჩაში ყოფნა და მომავალი არჩევნებისთვის მზადება თუ დაცდა? ცხადია, დაცდა, ვინაიდან ნაციონალების ჩათვლით, არც ერთ მათგანს პარლამენტში მოხვედრის შანსი არ აქვს. დღეს რომ არიან, ივანიშვილის მადლით, ხვალ ეს არ იქნება. მათი პოპულარობა კი ისეთი დაბალია, პარლამენტში კი არა ტუალეტში შესვლაც გაუჭირდებათ. ასე, რომ ნუ იღელვებთ „ძვირფასო პოლიტოლოგებო“, არ დაიქცევა ქვეყანა ანდა მეტად როგორ უნდა დაიქცეს?

დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ცხელ გულზე ამ სამეულის მიერ გაკეთებული განცხადებები, დამშვიდების შემდეგ მწარე მოგონებად დარჩებათ. ბევრს ინანებენ - ეს, რა ვთქვითო. თეთრად გაათენეს ღამე ფანჯიკიძის მოადგილეებმა ბერუჩაშვილმა და ჯალალანიამ და როგორც კი ინათა, უმალ თქვეს — ვრჩებით, ვინაიდან ევროატლანტიკურთან ჩახუტებას ვესაჭიროებითო .

ქვეყნის ტელევიზიებმა ზედმიწევნით დეტალურად ასახეს ალასანია-ფანჯიკიძესთან გამომშვიდობების სცენა. აპარატის მუშაკების მიერ გაკეთებულ ცოცხალ დერეფანში მიმავალი ალასანიას ტაშის გრიალში გამომშვიდობებამ, მოსკოვის გამომშვიდობება გამახსენა, სახელგანთქმულ რეჟისორს ლიუბიმოვს (სხვებს) რომ მოუწყვეს.

იმ გაცილებასა და ამ გაცილებაში არის რაღაც სხვაობაც და მსგავსობაც. სხვაობას თვით მიხვდება მკითხველი, მსგავსებას კი შევახსენებ — სამარადისო წასვლა იმქვეყნად და სამარადისო წასვლა პოლიტიკიდან. ვეჭვობ, რომ ასეთნი დაბრუნდნენ პოლიტიკაში. და თუ ეს მოხდა, ხალხის ბრალი იქნება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჩაზები

● **სულ გადავქექე ნაცარი და მივხვდი, რომ ძალიან გაბრაზებულია და ჯერ არ გადაუწყვეტია მიჯირგნოს ყველა, თუ დაიკიდოს!**

● **კაკულია შებრუნდეს და თქვას ინტერაქტივის პასუხები თუ მაგარია!**

● **ნათია მეგრელიშვილს მოაწევინეთ, თორე დეციმუს იუნიუს იუვენალუსი და გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსი აებლანდა.**

● **შეშფოთებული ვართ პოლიტიკური პირების წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის შემთხვევების გამო, — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა.**

შეშფოთებული ელჩები,
არამკითხენი, ლენჩები,
ყველაფერში რომ ეჩრებით,
თქვენ მალე წახვალთ, მე - ვრჩები!

● **„ვეტო დაადო იმიტომ, რომ უნდოდა რაღაცისთვის დაედო ვეტო“.**
ანდაზაა ფაქტობრივად.

● **თუ ძმა ხარ(თ), ბლოგერობა რა ხელობა-პროფესია და მოხელე-ნაჩალნიკობაა?!**

● **მერიკელებს, რუსებსა და ქართველებს შორის, ქართველებს ჰქონიათ ყველაზე დიდი! (ულუფა - ჯარში).**

● **ისე ნათია მეგრელიშვილს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში რო გაუშვებდნენ გამოსაკვლევად, არ იქნება ურიგო...**

● **ნახალოვკაში კამათს შევესწარი. თუთაშხია ვინ დაწერაო. ერთმა თქვა, მიხეილ ჯავახიშვილმაო და მეორემ, კონსტანტინე გამსახურდიამო.მესამე გაიხა სიცილით და სული რო მოითქვა, დუმბაძემ,**
თქვე დეგენერატებო, დუმბაძემო!
მეგრელიშვილის ოქტავიანე ავგუსტუსზე გამახსენდა!

● **ახლა არც ერთი აღარ ხართ ექსპერტი ხოოოო?**

● **ლუდს „ოქროს არწივის“ ისეთი თრილერი რეკლამა აქვს, გასინჯვაც კი მეშინია.**

● **ჩემთვის ყველაზე საამური სანახაობა მაინც წინნასაარჩევნო პერიოდი და არჩევნებია ხოლმე. . . .**
უფრო მეტი არჩევნები ხალხს! უპურობას შევეჩვიეთ.

● **საქართველოს მთავარ პროკურორად — ლელა კაკულია!!!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ქართული ეკონომიკის მკვლელები

ერთიც და მეორეც. აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ქართული ეკონომიკა საღათას ძილშია, გამომღვიძებელი და ფეხზე დამყენებელი კი ჯერაც არ გამოჩენილა. მთავრობები მოდიან და მიდიან, ვიდრე ავირჩევდეთ, გვებაქიბუქებიან — აი, ნახავთ, ქვეყანასაც ავაყვავებთ და თქვენც ბედსა გწევთო, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ქვეყნისა და ხალხის კი არა, თურმე საკუთარი ქონების დასაგროვებლად და პირადი კეთილდღეობის ასაყვავებლად მოსულან. თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, ჩაიხედოს თეიმურაზ ჭიჭინაძის ავტორობით ახლახან გამოცემულ წიგნში „ქართული ეკონომიკის მკვლელები“ (რედაქტორი შოთა მაჭარაშვილი) და ყველაფერი ეს სიზმარში ნანახივით აუცხადდება.

როგორც წიგნის ავტორი წინასიტყვაობაში შენიშნავს, მასზე მუშაობა საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) დიდად გახმაურებული ამერიკელი **ჯონ პერკინსის** ბესტსელერის **„ეკონომიკური მკვლელის აღსარების“** წაკითხვის შემდეგ გადაუწყვეტია. რატომ მაინც და მაინც ამ წიგნის შემდეგ?

„მხოლოდ ჩვენ, ეკონომიკურმა მკვლელებმა შევძელით, წერს ჯონ პერკინსი, პირველი მართლა გლობალური იმპერიის შექმნა. ჩვენს არსენალში ბევრი მეთოდია. ყველაზე გავრცელებული მდგომარეობს იმაში, რომ ვპოულობთ ქვეყანას, რომელსაც რესურსების დიდი მარაგი აქვს და მსოფლიო ბანკის ან ერთ-ერთი ორგანიზაციის სახელით ვალად დიდ თანხას ვაძლევთ. სინამდვილეში ფული არასდროს არ აღწევს იმ ქვეყნამდე, ის ჩვენ დიდ კორპორაციაში შემოდის, არჩეულ ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე მდიდარ ადამიანს ამდიდრებს, უფრო მეტად კი ჩვენს კორპორაციას. ამ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ამ ფულის არსებობას ვერ გრძნობს, მაგრამ მთელ ქვეყანას დიდი ვალი რჩება, იმდენად დიდი, რომ მის გასტუმრებას ვერასოდეს შეძლებს“.

ძვირფასო მკითხველო, ჯონ პერკინსის ამ გულწრფელი აღიარების შემდეგ, თვალწინ მშობლიური ქვეყანა არ დაგიდგათ? განა საქართველომ, ისევე როგორც მსოფლიოს უამრავმა ქვეყანამ, საკუთარ თავზე არ იწვნია ამერიკელ-ევროპელი სტრატეგიული პარტნიორებისგან გაწეული „დახმარების“ სიკეთე, როცა ქვეყნისათვის მილიარდიანი ვალების წამოკიდების საფასურად სახელისუფლებო კლანის მაღალჩინოსნები სიმდიდრეში ჩაიქცნენ, ეკონომიკა და ხალხი კი უკიდურეს გაჭირვებაში დარჩა. ამის უშუალო მომსწრე და მნახველია „ქართული ეკონომიკის მკვლელების“ ავტორი თეიმურაზ ჭიჭინაძე, რომელიც 1998 წლიდან 1999 წლამდე, ვიდრე გაიყიდებოდა ქვეყნის უმთავრესი ენერგეტიკული ობიექტი „თელასი“, მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო. ამდენად, როგორც თვითონ ამბობს, პირადად უწევდა შეხვედრა „ეკონომიკურ მკვლელებთან“ და რამდენჯერმე დაუპირისპირდა კიდეც, მაგრამ მალევე თავიდან მოიშორეს.

მაშინ ქვეყანაში, წიგნის ავტორის თქმით, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისადმი მიდგომა სხვანაირი იყო, ყველაფერი ლამაზ ფერებში ეჩვენებოდათ. დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ „თელასი“ გაიყიდებოდა, ენერგეტიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა გამოსწორდებოდა, ჩაბნელებულ დედაქალაქს ელექტროენერგია უწყვეტად ექნებოდა და ტარიფიც მოსახლეობისთვის მისაღები გახდებოდა...

საპრივატიზაციო სქემის ძირითადი მოთამაშე „მერლინ ლინჩი“, სერიოზული და ავტორიტეტული ამერიკული კომპანია გახლდათ, რომელსაც საქართველოს მთავრობამ დაუდო ხელშეკრულება და „თელასის“ სატენდეროდ მომზადება სთხოვა. კომპანია დაახლოებით ორი წლის განმავლობაში სწავლობდა და გასაყიდად ამზადებდა „თელასის“ მეურნეობას. **თუ როგორი სერიოზულობითა და ობიექტურობით სწავლობდა ობიექტს, მაშინ გამოჩნდა, როცა ეს უზარმაზარი ქონება 25 მილიონ აშშ დოლარად შეაფასა. რამდენად სამართლიანად შეაფასა, ამის საილუსტრაციოდ დიდუბეში მდებარე „თელასის“ ექვსსართულიანი ადმინისტრაციული შენობაც კმარა, რომელიც თავისი მიწის ნაკვეთითა და დამხმარე ნაგებობებით სულ რაღაც 60 ათას აშშ დოლარად შეფასდა. ეს მაშინ, როცა იმავე წერეთლის გამზირზე, სადაც ხსენებული კომპანიაა განლაგებული, ამ თანხით ოთხოთახიანი ბინის ყიდვაც კი ჭირდა.**

აბა, რა ამოძრავებდათ ამერიკელ „ობიექტურ“ ექსპერტებს, როცა „თელასი“ ჩალის ფასში გადასაგდებად გაიმეტეს? რა თქმა უნდა, პირადი გამდიდრების წყურვილი. როგორც ახლა ირკვევა, იმ 25 მილიონი დოლარიდან, რა ფასადაც „თელასი“ გაიყიდა, 2 მილიონი თურმე თავად „მერლინ ლინჩის “ ავტორიტეტულმა ექსპერტებმა და დაქირავებულმა თანამშრომლებმა ჩაიჯიბეს. მათ „კეთილსინდისიერებაზე“ მიგვანიშნებს მეორე პარადოქსული ფაქტიც: **კომპანიამ, რომელმაც „თელასი“ 25 მილიონ დოლარად შეიძინა, მეორე წელსვე ნაყიდი ქონება მათივე გადაფასებით უკვე 200 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა!**

არაორდინარულად მიმდინარეობდა ტენდერის მომზადების პროცესიც, რომელშიც ამერიკულ კომპანია AES-თან ერთად ფრანგული კომპანია EDF-იც მონაწილეობდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ტენდერის

1. „ეი-ი-ეს „თელასი“ და „ენერგო პროჯორჯია“ - ფულის საჭრელი მანქანები თუ კლანს გატანებული მილიონები?!

მსვლელობისას ვექტორი აშკარად ამერიკული კომპანიისკენ იხრებოდა და როგორც შუამავალი „მერლინ ლინჩი“, ისე ქართული მხარე, მას ღიად ლობირებდნენ. ყველაფერ ამას ფარდა მაშინ აეხადა, როცა „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭიჭინაძემ სატენდერო კომისიას მიაწოდა თავის მიერ მოპოვებული გასაიდუმლოებული ინფორმაცია: ტენდერის დასრულებამდე ფრანგული კომპანიის პაკეტი გაიხსნა და ამერიკულმა კომპანიამ კომისიაში განაცხადი მხოლოდ ამის



შემდეგ, სატენდერო ვადის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე, შეიტანა. ფრანგებმა თავიდან სცადეს გაპროტესტება, მაგრამ მალევე გაჩერდნენ. ეტყობა, უკვე სხვა ძალები ჩაერივნენ საქმეში და გაცლა ამჯობინეს.

ის ფაქტი, რომ ტენდერი სწორედ AES-მა მოიგო, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ სატენდერო პროცედურები დაირღვა და სახელმწიფოს ხელშეწყობით AES-მა გაიმარჯვა უსამართლო და არაკონკურენტულ ბრძოლაში. თუმცა, AES-ის სასარგებლოდ ტენდერის შემდეგაც არაერთი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფომ, დაჩქარებული წესით ორ დღეში გაუფორმა ხელშეკრულება, რამდენჯერმე გაუზარდა ტარიფები, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად გადასცა მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტები, რითაც ხელი შეუწყო დარგის მონოპოლიზაციას და ამერიკული კომპანიის გაბატონებას. **ამის დასტურია რიგი მაქინაციებისა, რომელთა გამოყენებითაც AES-სი ტარიფების გაბერვას „აპრავებდა“ და მოსახლეობას სულ უფრო მეტ თანხას სძლავდა. შედეგად ის მივიღეთ, რომ კომპანიის შემოსვლიდან სულ რაღაც 3 წელიწადში „თელასის“ ტარიფი 5,5-ჯერ გაიზარდა (1,4 თეთრიდან 7.72 თეთრამდე), ხოლო მისი განაწილებისა და დისტრიბუციის წილი მთლიან ტარიფში 60-70 პროცენტამდე. უხეში გათვლებით დგინდება, რომ 2002 წლიდან 2012 წლის ჩათვლით „თელასმა“ დაახლოებით 22,6 მილიარდი კილოვატსაათი ენერგია მიაწოდა მომხმარებელს და თითოეულ კილოვატსაათზე მიიღო, 6,32 თეთრით მეტი, ვიდრე 2002 წლამდე არსებული ტარიფით მიიღებდა. შედეგად „თელასმა“ მოსახლეობისგან ათი წლის განმავლობაში, ტარიფის გაზრდით, 1 მილიარდ 430 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი მიიღო, რაც სხვა არაფერია, თუ არა „ეკონომიკური მკვლელობა“ ჩადენილი 520 ათასზე მეტი ღატაკი აბონენტის წინააღმდეგ.**

ინვესტორი (თუ ამას ინვესტორი ჰქვია) არამ ფულს კი ხვეტავდა მოსახლეობისგან, მაგრამ იმავე „მოსახლეობასთან ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმების“ პირობა რატომღაც დაავიწყდა და დღემდე შეუსრულებელია. არადა, ეს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რადგან, თუ ინვესტორს აქვს უფლება, რამდენიმე თეთრის გადაუხდელობის შემთხვევაში მომხმარებელს შეუწყვიტოს ელენერგიის მოწოდება, რატომ არ აქვს იგივე მომხმარებელს უფლება, პრეტენზია გამოთქვას უმიზეზოდ ელექტროენერგიის გათიშვის ან უხარისხო ენერგიის მიწოდების შემთხვევაში?!

წიგნი აგრეთვე მოგვითხრობს ქართველი ჩინოვნიკების მეშვეობით, რომლებმაც ბრწყინვალედ აითვისეს „მერლინ ლინჩის“ მასტერკლასი, **როგორ ჩაიგდო ხელში „ენერგო პროჯორჯიამ“ საქართველოს მთელი ენერგოგამანაწილებელი სისტემა, კორუფციული გარიგების გზით, საქართველოში შემოყვანამდე როგორ მოუმზადეს სასათბურე პირობები, როგორ გაუსუფთავეს ვალებისგან შესაძენი ობიექტი, ჩამოაწერეს 700 მილიონი ლარის დავალიანება, როგორ შეუმცირეს 340 მილიონი დოლარი 200 მილიონამდე და რეალურად ნახევარიც აღარ გადაახდევინეს. ჯერ ერთი თეთრის ინვესტიციაც არ ჰქონდა განხორციელებული და ტარიფი მაქსიმალურად გაუზარდეს. ამ და სხვა აქინაციების წყალობით, სახელმწიფო ბიუჯეტმა სულ მცირე 200 მილიონი დოლარის შემოსავალი დაკარგა(!).**

თუმცა, ეს არ გახლავთ ერთადერთი ზიანი, რაც ქვეყანამ ამ კომპანიისგან მიიღო. თავის დროზე „ენერგო პროჯორჯიამ“ დადო პირობა, რომ 85 მილიონ დოლარს შეძენილი ჰესების რეაბლიტაციაში ჩადებდა, 100 მილიონს კი ახალი ჰესების აშენებაში. აღნიშნული ინვესტიციები ტარიფში კი აისახა, თუმცა, პრაქტიკულად არ განხორციელებულა. ამის მიუხედავად, მომხმარებელი დღემდე იხდის ტარიფში ჩადებულ ამ თანხას. **სწორედ ამ კორუფციული მაქინაციის წყალობა გახლავთ, რომ, თუ ქართულ ბაზარზე „ენერგო პროჯორჯიას“ გამოჩენამდე გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიამ მომხმარებელს ერთ კვტსთ ელენერგიას საუშალოდ 6 თეთრად აწვდიდა, მონოპოლისტმა კომპანიამ აღნიშნული ტარიფი 16 თეთრამდე გაზარდა. ამით „ენერგო პროჯორჯიამ“ ქართველ მომხმარებელს ჯიბიდან უკანასკნელი გროშები ამოაცალა, სამაგიეროდ, თავად დამატებით 2,6 მილიარდი ლარის შემოსავალი ჩაიდო!**

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებულმა კომპანიამ კი, რომელიც მოვალე იყო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანიზაცია ყოფილიყო, ენერგოობიექტების გასხვისების, გაჩუქების, მიტაცებისა თუ უსამართლო, გაბერილი ტარიფების დადგენის საქმეში, მთელი ამ წლების განმავლობაში, მეტად უარყოფითი, უზნეო და უეროვნებო სუბიექტის როლი შეასრულა. იგი მიუკერძოებელი არბიტრის ნაცვლად მთლიანად დაინტერესებული კლანებისა და კორუფციული ჯგუფების ინტერესების სამსახურში იდგა და დღესაც იგივე პოზიცია უჭირავს. ამიტომაც გვაქვს ქვეყანაში დღეს ასეთი უსამართლოდ გაბერილი ტარიფების სისტემა, რისთვისაც ვერაფერი მოგვიხერხებია და ვიღაცის გასამდიდრებლად მილიონებს ვიხდით.

ოთარ ხუციშვილი

◎ დღემდე უცნობი...

მეცნიერების საერთაშორისო დღეს ეროვნულ არქივში

ეროვნულმა არქივმა გუშინ მეცნიერების საერთაშორისო დღე აღნიშნა, — ამასთან დაკავშირებით გუშინ იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ხელნაწერთა ანალიტიკური კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა. პარალელურად მხოლოდ ერთი დღით გამოიფინა არქივში დაცული უძველესი ხელნაწერი „მეცხრე საუკუნის ანბანდიდი სახარება“.



პრეზენტაციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და თბილისის მერი დავით ნარმანია დაესწრნენ.

„დღეს მეცნიერების საერთაშორისო დღეა და ამიტომაც იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა დაამთხვია მეცხრე საუკუნის ხელნაწერი ანბანდიდი სახარების გამოფენა ერთი დღით. პატრიარქი მობრძანდა და ნახა ხელნაწერები. ასევე ჩვენ მოვისმინეთ ეროვნული არქივის წარმატებების შესახებ. კერძოდ, ეროვნულ არქივს აქამდე არ ჰქონდა კვლევის განყოფილება. ჩვენ ეს განყოფილება წელს შევქმენით. სწორედ ამ განყოფილების მუშაობის შედეგია, რომ უნიკალური ხელნაწერები აღმოჩნდა, მათ შორის, პალიმფსესტები, რომლებიც თურმე არქივში ინახებოდა და რადგან თანამედროვე წესით არ იყო აღნიშნული, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი იყო“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

ინტერპრესი

◎ მართლა ხომ არ გარეკეთ, ყოფილებო!

მინისტრი, რომელსაც არასდროს აქებდნენ

რატომ?

„მაკინტოში იქნება „იმედზე“, 8-ზე — ასე დაუანონსა ფეისბუქელ მეგობრებს ირაკლი ალასანიას მეუღლემ ნათია ფანჯიკიძემ თავისი დის ტელეეთერში გამოჩენა და თან საინტერესო კომენტარიც დაურთო, — მიხარია, რომ მშრალი, საქმიანი ინფორმაციის გარდა, შეუძლია, იმსჯელოს ახლა რაღაცეებზე, სხვა საკითხებზეც, თორემ სულ გული მწყდებოდა... თითქოს წესად იყო, რომ არასდროს არ უნდა შეექოთ, რაც არ უნდა გაეკეთებინა, არადა, რამდენ რამეშია კომპეტენტური. იმ უდატვირთულესი რეჟიმის მიუხედავად, რაც ჰქონდა — მარტო წელიწადნახევარი თვითმფრინავში გაატარა, — თავისი ძველი მოსწავლის თხოვნით თვითმფრინავშივე თარგმნა ავსტრიელი მწერლის, ბერნჰარდის პიესა, რომელიც რუსთაველის თეატრში დაიდგმება“.

მაია ფანჯიკიძეს, ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, თურმე ფრენისას პიესები უთარგმნია... მისი, როგორც ფილოლოგის კომპეტენციაში ეჭვი არც გვეპარებოდა, მაგრამ რაც შეეხება მის პროფესიონალიზმს დიპლომატიის მიმართულებით, ვერ ვიტყვით, რომ სიკაშკაშით გამოირჩეოდა. ქალბატონი მინისტრის არც რადიკალური სვლები გვახსენდება, არც გამორჩეული კონტაქტები და არც დასამახსოვრებელი ფრაზა. ეტყობა, ამიტომაც იქცა წესად, რომ „არასოდეს არ უნდა შეექოთ“. მოკლედ, ეს იყო მინისტრი, რომლის სახელი და გვარი აშკარად ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში, მაგრამ — არა განსაკუთრებული ღირსების გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორია ფაქტებს აღნუსხავს.

სხვათა შორის, თავდაცვის სამინისტროში სკანდალი რომც არ აგორებულიყო, მთელი ეს პერიოდი საზოგადოება სამთავრობო ცვლილებებს სულმოუთქმელად ელოდა. კულუარებიდან გამოსული ინფორმაციები თითქოს საბაბს არ იძლეოდა, მაგრამ მინისტრების ქმედებები (თუ უმოქმედება) ამის აუცილებლობის განცდას თავისთავად აღძრავდა. შესაცვლელი მინისტრების სიაში კი აუცილებლად იგულისხმებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი. არადა, ევროკავშირთან და ნატოსთან ზაფხულში მიღწეული წარმატებების შემდეგ, თითქოსდა, პირიქითაც უნდა ყოფილიყო და მაია ფანჯიკიძეს რეიტინგის პრობლემა არ უნდა ჰქონოდა.

ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ყველა წარმატება, რომელსაც ქვეყანამ საგარეო მიმართულებით მიაღწია, ან მთავრობის ძალისხმევის შედეგად, ან გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ინერცია იყო; ან შინაგანი ენერგია, გარდაუვალი რეალობა, სადაც ლავირების საშუალება ყოველთვის იყო ხოლმე, მაგრამ საგარეო მიმართულებით მომუშავე ჯგუფის უნიათობის გამო, სასურველ და საჭირო შედეგებამდე ვერ მივსულვართ. საქართველო იყო მოთამაშე, რომელიც გამოწვევებს კარგოსან მოწაფესავით ადეკვატურად უპასუხებდა ხოლმე, მაგრამ ფრიადოსნებისგან მკვეთრი და საჭირო განცხადებების ნაკლებობით განსხვავდებოდა.

როცა პრემიერ-მინისტრმა მაია ფანჯიკიძის რევანშული სვლა თავდაცვის მინისტრთან ნათესაურ კავშირს დაუკავშირა, აბსოლუტურად მართალი აღმოჩნდა, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროში დატრიალებული დემარში სხვას არაფერს ნიშნავდა. სახელმწიფოებრივი აზროვნების ნატამალი ამ ქმედებაში არ ჩანდა!!!

„საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ძალიან კარგად იცოდა, რომ თუ ალასანიას გაათავისუფლებდა თანამდებობიდან, ალექსი პეტრიაშვილი, მე და დავით ზალკალიანი აუცილებლად გადავდგებოდით“, — აღნიშნა „იმედის“ ეთერში მაია ფანჯიკიძემ. თურმე იგი შეხვედრია ირაკლი ღარიბაშვილს და ერთგვარი „შანტაჟი“ მოუწყვია. ეს უფრო შოკისმომგვრელი იყო მაყურებლისთვის, ვიდრე მისი მოგვიანებით გაკეთებული რეაქცია. თუ ირაკლი ალასანიას ხელს ახლებდნენ, ე. ი. რამდენიმე მინისტრიც უნდა გაყოლოდა უკან?! იქნებ ვინმემ ახსნას, რა ჩანს ამ განცხადებაში: ის, რომ მინისტრები იქცევიან სახელმწიფოებრივად, თუ, ის, რომ მინისტრები პატარა ბავშვებივით იბუტებიან? ქართული ფილმი გამახსენდა — „სხვისი შვილები “, როცა მამა დატუქსავს უფროს ვაჟიშვილს, ხოლო პატარა და სოლიდარობას უცხადებს ძმას. მამას კი გაბრაზებული ტონით ეკითხება: „რად დასაჯე, გია?!“

ირაკლი ღარიბაშვილმა თავადვე აღიარა, რომ თავდაცვის მინისტრის შეფასებისას მთავრობის სხდომაზე ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ ქალბატონმა გაბუტულმა მინისტრმა ეს კომენტარი თითზე დაიხვია და არათუ პრემიერ-მინისტრი, არამედ ახალი თავდაცვის მინისტრიც არ დაინდო და საინტერესო რჩევები მისცა: **„მაინტერესებს, დაურეკა თუ არა ჯანელიძემ საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის თავდაცვის მინისტრებს და აუხსნა თუ არა, რომ რაც მათ ირაკლი ალასანიასთან ილაპარაკეს, უნდა დაივიწყონ, რადგან ის ავანტიურისტი და უჭკუოა. მაინტერესებს, აუხსნა თუ არა ჯანელიძემ მათ ახალი სიტუაცია. რამდენადაც ვიცი, ეს არ მომხდარა. ახალ მინისტრს ვურჩევ, ეს სასწრაფოდ გააკეთოს“** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მართალი გითხრათ, ვერ მივხვდი, ეს იყო ხუმრობა, ირონიანარევი რჩევა თუ უბრალოდ სატირა; პეტრიაშვილისა არ იყოს, ინგა გრიგოლიას რომ უთხრა ეთერში, „მრეკეთ, ქალბატონო ინგა, მრეკეთ, რა!“ მართლა, ხომ არ გარეკეთ, ყოფილებო, აბა, რა გეხუმრებათ, რა გიხარიათ? ამ ახალგამომცხვარ ოპოზიციას რა სიცილი-ხარხარი აგიტყდათ ამ კრიზისის ჟამს, საკვირველია?!

მაია ფანჯიკიძის მძაფრი კრიტიკის ცეცხლში იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც მოხვდა. ყოფილმა მინისტრმა ამჟამინდელს თანაგუნდელობის განცდა და გუნდურობის პრინციპი დაუწუნა. ამ ფონზე კი საკუთარი ქცევის მიზეზები ახსნა. **„ჩემი გადადგომის კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ მე ვერ ვიჯდები იმ მთავრობის სხდომაზე, სადაც კოლეგა მინისტრს, რომელიც სამი წელი შენი თანამებრძოლი იყო, აქედან ორი წელი შენი თავდაცვის მინისტრი, რომელიც გვერდით გეჯდა, როდესაც მსოფლიო ლიდერებს ხვდებოდი, ასეთი სიტყვებით იხსენიებენ. ამაში მე მთელს ჩვენს გუნდს ვგულისხმობ. იმ სახით, რაც ტელევიზორში დავინახე, იქ ვერ დავჯდებოდი და ეს იციან ჩემმა კოლეგებმა. თეა წულუკიანი კარგად განასახიერებდა ამას!“**

დრო და სამართალი გაარკვევს, იყო თუ არა გარეული კორუფციაში ირაკლი ალასანია. გასაგებია, რომ ფანჯიკიძე დაუდგა მინისტრს გვერდით და თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ, რატომ ერჩის ის თავის ყოფილ თანაგუნდელებს, ან კონკრეტულად თეა წულუკიანს? რას უწუნებს ჯერ არც კი გამინისტრებულ ჯანელიძეს და საერთოდ, ისე, ჩანს, რომ ფანჯიკიძე გაოპოზიციონერდა, მაგრამ არაკონსტრუქციულია.

როცა საგარეო საქმეთა მინისტრს ყველაზე მეტად მოეთხოვება დიპლომატია, არაემოციურობა, მოვლენების გონებით შეფასება და ღრმა ანალიზი, კრიზისიდან შედარებით ნაკლები პრობლემებით გამოსავლის პოვნა, რომელი ერთი აღმოაჩნდა მაია ფანჯიკიძეს?! სამწუხაროდ, თითქმის არც ერთი!!!

საგარეო საქმეთა მინისტრის სკამი ჯერ ცარიელია. ნეტა, ვინ დაიკავებს მას და რა ღირსებები აღმოაჩნდება? ძვეყნის იმიჯი და შესაბამისად, პოზიტიური შედეგი ერთმნიშვნელოვნად თუ არა, მეტწილად ამ თანამდებობის პირის ძალისხმევაზე უდავოდ არის დამოკიდებული. ეს ამ ბოლო ორმა წელიწადმაც კარგად გამოაჩინა....

თეა მოსია

◎ „ბედნიერი ერის“ შვილები

ქართველი ჟირინოვსკი

შალვა-ნათი მარტოოდენ ენაა თუ კაცია?!

არამზადა სააკაშვილის მეტყველების ლექსიკონი ხომ გახსოვთ: **„ჩარეცხილები“, „უბადრუკები“, „მახინჯები“, „უვიცები“, „ჯოჯოები“ და ასე შემდეგ...**

ამბიციური და უზრდელი მიშა ანგარიშმიუცემლად ლანძღავდა ქართველ ხალხს — ინტელიგენციას, 40-ს გადაცილებულ, „ტვინგაყინულ“ ოპოზიციას, დაუნახავ და უმადურ თბილისელებს (ქარიხვეტია მიშა ყველაზე ადრე თბილისელებმა ამოიცნეს და ბოლო არჩევნებზე ფეხქვეშ ამოიდეს), ამიტომაც დარბოდა გარე-გარე, ამერიკიდან და ევროპიდან პირდაპირ ბათუმსა თუ ფოთში, ანაკლიასა თუ მესტიაში, ქუთაისსა თუ ყვარელში ღრუბელ-ღრუბელ დაფრინავდა, შერეკილების ცათმფრენიდან მთვრალი (ხან ღვინით, ხანაც — ნარკოტიკით გამობრუჟული) გადმოაბოტებდა და იქიდან გვიკითხავდა ნაცისტურ მორალს...

ცხვირმოუხოცავი მიშა პრეზიდენტობიდან მოვიშორეთ (იმედია — სამუდამოდ!), მაგრამ მისი ბილწსიტყვაობა და ამორალიზმი ისევ იფრქვევა თავახდილი პანდორას ყუთიდან, ტელეკომპანია „რუთავი-2“-დან და მანამ იქნება ასე, ვიდრე ქართველი ხალხი ამ ყუთს სარკოფაგში არ მოაქცევს...

მაპატიეთ, ძვირფასო მკითხველო, რომ ქართული პოლიტიკის საყოველთაო სირცხვილი — მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთხელ გაგახსენეთ, მაგრამ ამას განსაკუთრებული მიზეზი აქვს. მიშაზე ბევრად ნაკლები როდია მოუხელთებელი მოლაყბე ბიჭი, უბერებელი ლეიბორისტი და სუპერდემაგოგი შალვა ნათელაშვილი. ვიდრე შალვა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობას მიშას „დაუთმობდა“, ხალხს კიდევ რაღაც სჯეროდა მისი, მაგრამ... ამ ორ შარლატანს შორის ფრიად სეჭვო გარიგების შემდეგ ამომრჩეველმა ზურგი აქცია სამგროშად გაყიდული „სახალხო“ პარტიის ლიდერს და იდეოლოგიურად, პოლიტიკურად, ზნეობრივად კუდის რიკამდე გატყავებულ-გაშიშვლებული წარმოაჩინა.

გაშიშვლება ასე არ უნდაო და ენას გამობმულმა შალიკომ ნაცების და მათი ბელადის ლანძღვა-გინება ჭორიკანა დიაცივით წივილ-კივილის სტილში მორთო... თითქმის „ნატური“ ეჭვი მაქვს, რომ ეს ლანძღვა-გინებაც გარიგებაში შედიოდა! საქმის არმცოდნე, ლაქლაქს გადაყოლილი შალვა ისეთ მონოლოგებს ყვებოდა თმები ყალყზე დაგიდგებოდა! (შალვა თითქმის არასდროს სხვას არ აცლის ლაპარაკს, თანაც ისეთ გრიგალივით მოგრუხუნე ჟურნალისტსაც კი, როგორიც ინგა გრიგ(ა)ლიაა... დანარჩენი თქვენ თვითონ განსაზღვრეთ).

არა და არ შეისმინა ხალხმა შალვას მოთხოვნა: ერთხელ მაინც მანდეთ ქვეყანა და ნახეთ როგორ გაცხოვრებთო!

თანადგომის ნაცვლად ვერც ნაცადმა ლეიბორისტებმა აიტანეს შალვას ცარიელი ყბედობა და მთელი გუნდი, სოსო შატბერაშვილის ხელმძღვანელობით, ერთბაშად გაეცალა სწოუპოვარ ლიდერს... დარჩა ჩვენი შალიკო მარტოოდენ გიორგი გუგავას და ათიოდე ამომრჩევლის იმედად... შალიკო საკუთარ დუშეთის რაიონშიც კი აგებს არჩევნებს... ასე განსაჯეთ, „მარო რიტა მარგარიტას“ ავტორმა ნუგზარ ერგემლიძემაც კი უღალატა და ლეიბორისტების სიით პარლამენტში შეძვრა... თუმცაღა, შალვა პარლამენტში არ შესულა, მაგრამ მთელი ოთხი წელიწადი მიშისტების პარლამენტიდან ხელფასს იღებდა... რას არ იტყვის „მტრის“ ენა — შალვას საზღვარგარეთის ბანკებში 98 ათასი ევრო საიდან აქვსო, „პაეზდკებში“ რითი დასეირნობსო, სულმოუთქმელად, გიჟივით რატომ ლაპარაკობსო, ნერვებს რატომ გვიშლისო და ა. შ.

ალბათ, იმიტომ, ჩემო ძვირფასებო, რომ არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს იმდენი „სუფთა“ ფული არ უშოვია ამქვეყნად, რამდენიც შალიკო ნათელაშვილს.

სხვა რომ არა იყოს რა, მარტოოდენ შალვას ყბაში ჩავარდნა რად ღირს, თუ მოინდომა სიტყვით ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა... მე შენ გეტყვი ჭკუა დაუშლის თუ გიორგი გუგავა?!

ახლა ბოლო მარგალიტი წაიკითხეთ შალვას ნააზრევიდან: „აი, ახლა ხომ არიან ესენი ღირსები, მე გავიდე 15 ნოემბერს მიტინგზე და დავუძახო მთელ საქართველოს, ამათგან ხომ არაფერი დარჩება“...

ყოჩაღ შალვა, შენ რომ მთელ საქართველოს დაუძახებ და ქუჩაში მილიონი ქართველი გამოვა, ზუსტი აღრიცხვა სააკაშვილის „ენჯეოებს“ და ყალბი რეიტინგების შედგენაში გაწაფულ ორგანიზაციებს დაავალე.

და თუ ქუჩაში გამოსული ხალხის უმრავლესობამ ისევ „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს დაუჭირა მხარი, თავზე ქუდი დაიხურე და პოლიტიკას საერთოდ გაეცალე... გიორგი ონიანისა და ოთო კახიძის მსგავსად, ხომ იცი, როგორ მოგიხდება ნაცების ადვოკატობა. შენ ხომ მოწოდებით შუბლის ძარღვგაწყვეტილი იურისტი ხარ!..

ბოლოს და ბოლოს, ნამუსიც კარგი საქონელია, ძვირფასო ქართველო ჟირინოვსკი!

სპარტაკ ქოგულია

ქართველი კაცის დოპინგი სამშობლოს სიყვარულია

იგი კაცს შეუძლებელსაც შეაძლებინებს! — ასე მიიჩნევს სწორუპოვარი რომან რურუა

დაიბადა 1942 წლის 25 ნოემბერს მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში. გამოდიოდა ორ წონითს (62 და 70 კგ) კატეგორიაში. მსოფლიოში ერთადერთი მოჭიდავეა, რომელსაც 1959-1972 წლებში არც ერთი შეხვედრა არ წაუგია უცხოეთში.

ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა (1968, მეხიკო) და ვერცხლის პრიზიორმა (1964, ტოკიო), ოთხჯერ მსოფლიოს (1966 — ტოლედო, 1967 — ბუდაპეშტი, 1969 — მარ დელ პლატა, 1970 — ედმონტონი) შვიდჯერ სსრკ-ს(1963-1967, 1969-1971) და სამგზის (1963, 1967, 1971) საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ჩემპიონობა მოიპოვა.სპორტის დამსახურებული ოსტატი 1999-2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ფალა ვანი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა დანერგა დღეში ორჯერადი ვარჯიშები.

„როცა საქმე მოითხოვს, ორგანიზმს ავალდებულებ, შენს ჭკუაზე მოიქცეს, ასე ვთქვათ, აღანთებ და სტიმულს აძლევ, რომ დაიქოქოს. აღგზნების ამპლიტუდით განისაზღვრება შენი შესაძლებლობების დონე. რაც უფრო დიდია იგი, მით მეტის გაკეთება შეგიძლია, ოღონდ ყოველივე ერთეულების ხვედრია“, — ეს სიტყვები სახელოვან ქართველ ფალავანს, ოლიმპიურ და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონ რომან რურუას ეკუთვნის, რომელიც მთელი სპორტული კარიერის განმავლობაში (მერეც) საკუთარ სხეულს მართავდა (მართავს), ხშირად დროს უსწრებდა და ისეთ წარმატებებს მიაღწია, ჩვეულებრივი მოკვდავის ძალებს რომ აღემატება და უკეთესსაც რომ იშვიათად მიაღწევს კაცი. ამ რეგალიების უკან კი დგას პიროვნება — მიზანსწრაფული, შრომისმოყვარე, პირდაპირი, უშიშარი და ნიჭიერი, რომელმაც თავად გამოჭედა საკუთარი ბედი და ისტორია. იცის, რომ ეს შესაძლებელია, ამიტომაც სხვებისგანაც მოითხოვს ამას და, თუ რამ არ მოეწონება, არავის დაზოგავს. ასეთი იყო ჭაბუკობის წლებშიც. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ვიქტორ იგუმენოვი იგონებს: **„რომან რურუა სიმართლეს ყველას პირში ახლის. არც სათქმელის მოზომვა იცის მაინცდამაინც. ამავე დროს, ძალიან ტაქტიანი კაცია, თავაზიანი, გულისხმიერი, უფრთხილდება ადამიანის ღირსებას, სიმართლის თქმა იცის... ჩვენ ერთხმად ავირჩიეთ იგი საბჭოთა ნაკრების კაპიტნად. მისი ნებისმიერი მოთხოვნა უსიტყვოდ სრულდებოდა. რომანი ჩვენი გუნდის სინდისი, მისი ტრადიციების დამცველი გახლდათ... ჩემი კაპიტანი ნაკრების ყველაზე საიმედო მოჭიდავე იყო“.**

დიდი ჩემპიონის ეიმედებოდათ და ეიმედებათ ახლაც, ამიტომაც დანიშნეს იგი საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრების მთავარ მწვრთნელად მაშინ, როცა ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში დიდი არეულობაა. ბოლო დღეებში სიტუაცია უბრუნდება თავის კალაპოტს. და მაინც, რა მდგომარეობაა ამჟამად ფედერაციაში? — ამ კითხვით მივმართეთ ბატონ რომანს.

— ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო, — ჩვეული პირდაპირობით დაიწყო ოლიმპიურმა ჩემპიონმა. — ეს არეულობა არახალია — მას შემდეგ მოდის, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა. ორ ათეულ წელიწადზე მეტია, ახალგაზრდები განუკითხაობაში იზრდებიან: არეულობის სამი უმძიმესი პერიოდი გამოვიარეთ, დაგროვდა პრობლემები და კულმინაციის წერტილს ახლა მიაღწია, იფეთქა და მთელი ძალით დღეს დაატყდა თავს ჭიდაობის ფედერაციას, რომელიც ამ მოვლენას მოუმზადებელი შეხვდა. ალბათ, მიზეზებს იკითხავთ. სამ ძირითად მომენტს გამოვარჩევ:

1. დარღვეულია სასწავლო-საწვრთნელი პროცესი — იგი აბსოლუტურად გაუმართავია და დღევანდელ მოთხოვნებს მცირედითაც ვერ უვპასუხებს.

2. დარღვეულია მეგობრობის ინსტიტუტი: შურით ვუყურებთ ერთმანეთს. არ არსებობს ურთიერთპატივისცემა, რომლითაც ოდითგანვე ცნობილი იყო ჭიდაობის სამყარო. გაბატონდა „მე“ და „შენ“; დაგვავიწყდა, ლექსიკონიდან ამოვიღეთ სიტყვა „ჩვენი“;

3. წაიშალა ზომიერების ზღვარი მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში. უფროს-უმცროსობა აღარ ფასობს და ამას დემოკრატიით ნიღბავენ. სამწუხაროდ, მასწავლებლის ავტორიტეტი ნულამდეა დასული.

ფედერაციის მართვაშიც უამრავი პრობლემაა, რადგან ეს ორგანიზაცია უმთავრესად გამოუცდელი ხალხის ხელში აღმოჩნდა. მენეჯმენტის ელემენტარული პრაქტიკა არ არსებობს. ფედერაციის არჩევნებისას, ვიმეორებ, მეტწილად, შემთხვევით ხალხს მივეცით ხმა... თუმცა არჩევანის საშუალება არც გვქონია.

— ბატონო რომან, მაპატიეთ, მაგრამ ლუკა კურტანიძეს ჭიდაობის სამყაროსთვის შემთხვევით პიროვნებად, ალბათ, ვერ მივიჩნევთ.

— ლუკა ჩინებული ფალავანი გახლდათ. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ მხოლოდ მან შეძლო ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება, მაგრამ ჭიდაობა სხვაა და ორგანიზაციის მართვა, ადამიანებთან ურთიერთობა — სხვა. მოუმზადებელი აღმოჩნდა ფედერაციის მესვეურის მძიმე ტვირთის სატარებლად. მან არაერთხელ თქვა, ყველაფერს მე ვაკეთებდიო. სწორედ ეს არის ცუდი, როცა პრეზიდენტი ასრულებს ყველაფერს, ეს ცუდი მენეჯმენტის ნიშანია. ერთი კაცი ყველაფერს ვერ გააკეთებს, ვერ იქნება ხარისხიანი. ფაქტიც ამას ადასტურებს.

ზემოთ ვთქვი და გავიმეორებ, დიდი ხანია, საშინლად არის დარღვეული წვრთნის ნორმები — ოდნავადაც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

— ჰო, მაგრამ ხომ გვყავდნენ ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები?

— დიახ, და მომავალშიც გვეყოლება თითო-ოროლა, ქართველი კაცის ნიჭიერებიდან გამომდინარე, მწვრთნელებისა და სპეციალისტების გარეშეც. არ დაიჯეროთ, რომ ისინი ვინმემ გაზარდა. ეს ღვთის წყალობისა და გენში ჩადებული ნიჭიერების შედეგია. ფალავანი ორ-სამჯერ რომ გახდება დიდი ჩემპიონი, აი, მაშინაა მწვრთნელის გაზრდილი. ვინც ოლიმპიურ თამაშებს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს უყურებს, დამეთანხმება, რომ ჩვენი მოჭიდავეები ხალიჩაზე ორწუთიანი პაექრობის შემდეგ ფერს კარგავენ. ეს იმის ბრალია, რომ წვრთნის ინტენსივობა არ ჰყოფნით, მალე იღლებიან. ნებისმიერი ჭიდაობა ნერვული სტრესია, სპორტსმენს მეტოქეზე მეტად დაღლის შიში აქვს, მღელვარება ემატება, სუნთქვა უხშირდება. საამისოდ კი ფილტვები მზად არ არის ბავშვობიდან. როცა ჰაერის მარაგი არ ჰყოფნის, აზროვნების უნარიც ეკარგება და, ჭიდაობაზე კი არა, იმაზე ფიქრობს, ორთაბრძოლა როდის დამთავრდება. შედეგიც სავალალოა. მაგალითად, შარშან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველთაგან ათეულშიც ვერავინ მოხვდა — ეს კატასტროფაა. წლეულსაც კვარცხლბეკზე ვერავინ ავიდა. ამის შემდეგ ვინმეს მოუბრუნდება ენა, რომ მითხრას, მოჭიდავეებს ვზრდითო? ქართველი კაცის გენეტიკურ ნიჭიერებას თავის დამსახურებად ნურავინ მიითვლის.

როცა ხალიჩაზე გამოვდიოდი, თავიდან 12 წუთს ვჭიდაობდით შეუსვენებლივ, მერე ორი ხუთ-ხუთწუთიანი პერიოდი შემოიღეს, რაც საუკეთესო მოდელად მიმაჩნია. მეხიკოს ოლიმპიადისთვის ჭიდაობა სამ სამწუთიან რაუნდამდე დაიყვანეს. ამასაც არა უშავდა. ჭიდაობის დროის შემდგომი შემცირება კი შეცდომა იყო, უფრო სწორად, საერთაშორისო ფედერაციამ ფულის გასაკეთებლად შემოიღო ასეთი წესები: ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ წარმომადგენლები ჰყოლოდათ იმ ქვეყნებიდან, სადაც ფული აქვთ, მაგრამ ჭიდაობის არაფერი გაეგებათ. ამგვარი ხრიკებით ბევრი ასეთი „ფალავანი“ აიყვანეს კვარცხლბეკზე და ჯიბეებიც საკმაოდ გაისქელეს. მსოფლიოში იმ დონემდე მიიყვანეს ჭიდაობა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მისი თამაშების პროგრამიდან ამოღებაც კი განიზრახა. კიდევ კარგი, რომ ბოლო დროს ფილაში ხელმძღვანელობა შეიცვალა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად რაღაც მაინც კეთდება.



ასე ჭიდაობდა რომან რურუა.

— საკითხავია, ჩვენ რა გვეშველება? თქვენ როგორ აპირებთ პრობლემების მოგვარებას?

— შესაძლოა, ეს არასასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ მენეჯმენტის გამართული მუშაობის შემთხვევაშიც სასურველი შედეგების მისაღებად 8-10 წელიწადი მაინც იქნება საჭირო. არ არის გამორიცხული, გენმა ვინმე წამოატივტივოს, მაგრამ კარტოზიებს, ბალავაძეებს, თედიაშვილებს, საღარაძეებს, ბერიაშვილებს ხელის ერთი მოსმით ვერ გაზრდი. ამას წლები სჭირდება. სამაგიეროდ, ისინი თითო გაელვებით არ დაკმაყოფილდებიან. ვინც დღეს გვყავს, მეეჭვება, მათ ძირეული გარდაქმნა მოახერხონ. ზრდასრული სპორტსმენის ახალ ყალიბში ჩამოსხმა შეუძლებელია. ამ თაობამ, როგორც არის, ისე უნდა ჩაამთავროს თავისი კარიერა და ნიჭიერების ხარჯზე თუ შეძლებს, წარმატებას მიაღწიოს. ახალ თაობაში უნდა ჩავდოთ მყარი საფუძველი.

— გამოდის, რომ 2016 წლის რიოს ოლიმპიადაზე არ უნდა ვიფიქროთ!

— რთული კითხვაა... იფიქრეთ, ბატონო, მაგრამ რისთვის მიდიხართ იქ, ეს კი არ ვიცი. თუკი მხოლოდ ოლიმპიური პრინციპით ვიხელმძღვანელებთ — რომ მთავარია მონაწილეობა, ვინ დაგვიშლის. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე საგზურსაც მოვიპოვებთ, ჩვენზე სუსტი მოჭიდავეები თუ გვერგო მეტოქედ, იქნებ კვარცხლბეკზეც ავიდეთ. რა გამოდის, სამკითხაოდ მივდივართ ბრაზილიაში?!

— ამბობენ, კარგი ყავა აქვთო...

— ჰოდა, რიოს შედეგებისთვის ექვსი-რვა წლის წინათ უნდა გვეზრუნა.

— მაშ, ამ ბიჭებს რატომ ვთხოვთ დარბაზში შესვლას. იქნებ, ვურჩიოთ, ქუდი დაიხურონ და სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი.

— არავითარ შემთხვევაში! სხვათა შორის, არეულობისას მსგავსი საკითხი დაისვა სპორტის მესვეურებთან შეხვედრისას. კატეგორიული წინააღმდეგი წავედი. ამ ნიჭიერი ბიჭების ბრალი არ არის, რომ მათ ხელი დააკლეს და თავიანთი ტალანტის ბოლომდე წარმოჩენას ვერ ახერხებენ. ჯერ ერთი, რომ ჩვენ არ ვიცით, გენი როდის და სად იყივლებს. ამიტომ ეს შანსი მათ არ უნდა წავართვათ და მეორეც — ისინი მომავალი თაობისთვის არიან საჭირო, უმათოდ ახალი თაობა ვერ გაიზრდება, ვაკუუმი სიკეთეს არ მოგვიტანს. ისიც ხომ ცნობილია, რომ ჩემპიონებს ისინი ზრდიან, რომლებმაც თავის დროზე სპორტულ მწვერვალებს ვერ მიაღწიეს. ვიმეორებ, ამ ბიჭებს სასჯელად ისიც ეყოფათ, რომ მავანთა გამო პოტენციალი ბოლომდე გამოუყენებელი დარჩათ. ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებელია კონკურენციის გაზრდა. თითოეულ წონაში 4-5 კონკურენტი მაინც უნდა გვყავდეს, რომ მათ შორის დიდი ჩემპიონი გაიზარდოს, ერთი ან ორსეზონიანი ფალავანი არ გვყავდეს. ჩემს წონაში ყოფილ საბჭოეთს 6 მაღალი კლასის მოჭიდავე ჰყავდა, ამიტომაც ჩვენი თითოეული გასვლა მსოფლიოს ჩემპიონატებში ოქროს მედლით მთავრდებოდა, თანაც თითოეულს რამდენჯერმე გვაქვს მოპოვებული ტიტული.

უნდა აღმოვფხვრათ ერთი მანკიერი მხარეც — ტრაბახი. ფედერაციაში წლიდან წლამდე მესმის, ამდენი ოქროს მედალი მოვიპოვეთო. რომელ ოქროს ვითვლით? ვის ვატყუებთ? მე მესმის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის

ჩემპიონატების მედლები. დანარჩენი შეჯიბრება? ისინი მხოლოდ მნიშვნელოვანი ასპარეზობებისთვის სპორტსმენთა მოსამზადებლად უნდა განვიხილოთ და არა მედლების დასათვლელად. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ტურნირებზე მაჩანჩალებში ვიყოთ. იქ უნდა გამოიწრთოს ფალავანი, შეიძინოს გამოცდილება და იქ მოპოვებულმა ჯილდომ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში წარმატების მისაღწევად საკუთარი ძალისა და შესაძლებლობების რწმენა განუმტკიცოს.

— ამ რთულ გზაზე ვისთან ერთად აპირებთ სიარულს?

— ყველა ნიჭიერ და მუყაით მწვრთნელს გზა ხსნილი ექნება. მთავარი მწვრთნელის ფუნქცია იმიტომ ვიკისრე, რომ კოლეგებს ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო, მათი აზრი მოვისმინო, რომ სწორად დავგეგმოთ მომავალი თაობის აღზრდა. წვრთნის ახალ მეთოდოლოგიას უნდა გავეცნოთ, ჩვენსას შევუხამოთ, თითოეული შესაძლო მეტოქისა და საკუთარი შეგირდის სუსტი და ძლიერი მხარეები შევისწავლოთ, გავაანალიზოთ. მოჭიდავე ხალიჩაზე რომ გადის, თავს ისე უნდა გრძნობდეს, როგორც თევზი წყალში.

სპორტსმენის ფიზიკურ და ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებასთან ერთად ფსიქოლოგიური წრთობაა საჭირო. საამისოდ ფსიქოლოგები უნდა მოიწვიოთო. კი, ბატონო, ცუდი არ იქნება, მაგრამ სპორტსმენისთვის უპირველესი ფსიქოლოგი მისი მწვრთნელი უნდა იყოს, შეგირდსა და ოსტატს უნდა სჯეროდეთ და სწამდეთ, უსიტყვოდ ესმოდეთ ერთმანეთის. მოჭიდავემ მწვრთნელის დახმარებით თავად უნდა აღზარდოს საკუთარი თავი — გახდეს ნებისყოფიანი, გაუტეხელი, ჟინიანი, მიღწეულით არასდროს დაკმაყოფილდეს და იყოს ზრდილობიანი, რაც წესრიგის მაჩვენებელია. ყველაზე მთავარი — უნდა იყოს პატრიოტი. სამშობლოს სიყვარული კაცს შეუძლებელს შეაძლებინებს. სპორტსმენის ფსიქოლოგიური აღზრდა მისთვის კონკურენტული გარემოს შექმნაა, რომ წუთითაც ვერ შეძლოს მოდუნება ნაკრებში ადგილის დაკარგვის შიშით. აი, ასე გაზრდილი ათლეტები მიაღწევენ წარმატებას, და არა ისინი, ათასგვარი წამლებით რომ იჭყიპებიან. ქართველი კაცისთვის დოპინგი სამშობლოს სიყვარულია. სხვა მასტიმულირებელი პრეპარატი მას არ სჭირდება. პატრიოტული გრძნობა რომ წავართვით ახალგაზრდებს, იმიტომაც მიეძალნენ აკრძალულ ნივთიერებებს. დოპინგომანიის გახშირება იმის ბრალიცაა, რომ მომხდარზე მხოლოდ სპორტსმენები ისჯებიან, მათი მწვრთნელები და ექიმები კი პასუხს არაფერზე აგებენ. თუკი ათლეტი ამას შენ დაუკითხავად აკეთებს, ესე იგი პატივს არ გცემს და დაფიქრება გმართებს. მწვრთნელობა ყოფილი საბჭოთა ავტოინსპექტორივით მხოლოდ სასტვენით ხალიჩაზე შესვლას არ ნიშნავს. ანალიტიკური აზროვნება უნდა შეგეძლოს და ყოველი ვარჯიშის შემდეგ საკუთარ თავს უნდა ჰკითხო — წავიწიე თუ არა წინ. სპორტსმენმა ძილის წინაც გონებაში უნდა გაიაროს მთელი საწვრთნელი დღე. სხვაგვარად არაფერი გამოვა. მდგომარეობის გამოსასწორებლად მწვრთნელებს აუცილებლად მივცემთ სათანადო მითითებებს, წვრთნის ერთიან სისტემას ჩამოვაყალიბებთ, თუმცა, შემოქმედებითი საქმიანობისთვის შეზღუდული არ იქნებიან, მთავარია, შედეგზე ვიყოთ ორიენტირებული, საამისოდ კი კონტროლია საჭირო. ამიტომაც გვინდა კარგი ფედერაცია გამართული მენეჯმენტით, სადაც ყველას თავისი საქმე ეცოდინება და მასზე პასუხისმგებელიც იქნება. ჩვენი ჭიდაობის სამყარო საათის მექანიზმს თუ არ დაემსგავსა, სასურველ შედეგს ვერასდროს მივაღწევთ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

რედაქციისგან: ოლიმპიურ ჩემპიონ რომან რურუასთან ინტერვიუში უამრავი პრობლემაა წინა პლანზე წამოწეული. ზოგი მოსაზრება, შეიძლება, საკამათოც იყოს, ამიტომ მწვრთნელებს, ზოგადად სპეციალისტებს, ვეტერანებსა თუ მოქმედ ფალავნებს, ყველას — ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ჭიდაობა, იდეებითა და საქმიანი წინადადებებით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სასაუბროდ ვიწვევთ.

◎ გამოიცა

გულიანი კაცი, რომელსაც უკან მოხედვის არ ერცხვინება!

ᲕᲘᲓᲠᲔ მცირე მიმოხილვას შემოგთავაზებდეთ ერთი კარგი გამოცემისა, რომელიც მკითხველმა ახლახან მიიღო, მინდა, გაგაცნოთ რამდენიმე თემატური ამონარიდი მასში გამოქვეყნებული ზოგიერთი მასალიდან.

„...ნუგზარი ერთგული და უღალატო კაცია. არავის ახსოვს მისგან უსულგულო დამოკიდებულება. ჭირსა და ლხინში იგი თანამდგომი, დარდისა და სიხარულის გამზიარებელია. ამას მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით არ ვამბობ. ყველას შეგიმჩნევიათ, რომ ცხოვრების გზაზე, აღმავლობისა და დაქვეითებისას მის გვერდით მუდამ არიან სიყრმის მეგობრები, თანაკლასელები, თანაკურსელები, სამსახურისდროინდელი თანამშრომლები. იგი არასოდეს არ გადიდკაცებულა, არ გამხდარა უკარება და გულცივი...

ბატონი ნუგზარი ვერ იტანს ჩრდილში ყოფნას. კაცმა რომ თქვას, იგი არც არასდროს ყოფილა მეორეხარისხოვან პოზიციაში. იგი მჩქეფარე და დაუდეგარი ადამიანია და ამ თვისებებს უხვად ხარჯავს მინდობილი საქმისა თუ დასახული მიზნის მისაღწევად. სწორედ ამიტომაა, რომ იგი ცხოვრებამ მართლაც გაანებივრა — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე მიღწეულ წარმატებებთან ერთად მის ბიოგრაფიას ამშვენებს იდილიური სამყარო — შესანიშნავი ოჯახი — მეუღლე, შვილი, რძალი, შვილიშვილი, ერთგულ, მოყვარე ადამიანთა წრე...

დღეს ბატონი ნუგზარი 70 წლისაა და ამ ჭარმაგ ასაკშიც შესაშური ენერგიითა და ენთუზიაზმით გამოირჩევა. დარწმუნებული ვარ, ახლაც რომ ჩაბარდეს საპასუხისმგებლო საქმე, მას დიდი წარმატებით გაართმევს თავს და სასახელოდ დააგვირგვინებს თავის მრავალწლიან მოღვაწეობას “.

სავსებით ვეთანხმები ამ სტრიქონების ავტორს ისევე, როგორც იუბილარის ის მეგობრებიც, რომლებიც წერენ:

„ვერ ვიტყვით, რომ 70 წელი ტვირთი არ არის. შვიდი ათეული წელიწადი მთელი ცხოვრებაა. მით უმეტეს, თუ განვლილი გზა არასოდეს ყოფილა მოფენილი ფიანდაზით. იყო სიმწარეც, დაუმსახურებელი ტკივილები, სიხარულიც, მაგრამ თქვენ, ბატონო ნუგზარ, შეგიძლიათ, უფლებამოსილი ბრძანდებით, ხმამაღლა, ყველას გასაგონად განაცხადოთ: „ᲐᲠ ᲛᲔᲠᲪᲮᲕᲘᲜᲔᲑᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲮᲔᲓᲕᲘᲡ!“

მას, დიახაც, აქვს ამის თქმის უფლება, რადგან განვლილ გზაზე სხვა არაფერია გარდა კაცობისა, საქვეყნო საქმის წარმატებისთვის უანგარო, მართლაც მუხლჩაუხრელი შრომისა, წარმატებებისა... ამიტომაც იყო, რომ როგორც კი ამის საჭიროება დადგებოდა, მას მუდამ რთულ უბანზე აგზავნიდნენ.

„...ამ მაღალ პოსტზე, ექსტრემალურ პირობებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოჩნდა ბატონი ნუგზარის ფართო ერუდიცია, როგორც იტყვიან, ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუა, დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, კვანძებად შეკრული ძველი და ახალი პრობლემების გადაწყვეტის ინტუიცია და გამჭრიახობა...

ბატონი ნუგზარის მდიდარი გამოცდილება, მისი პიროვნული თვისებები, განვლილი გზა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას, როგორ უნდა გაუფრთხილდე მის წარსულს, როგორ უნდა შეინარჩუნო და განამტკიცო ეროვნული ტრადიციები და როგორი სიმტკიცით უნდა იბრძოლო მისი მომავლისთვის“.

ერთი მცირე ამონარიდიც მის დასახასიათებლად:

„...ბატონი ნუგზარი გულიანი კაცია, გულის თვალით უმზერ-აფასებს გარემოსაც და ადამიანებსაც, გულის ძახილ-კარნახით მიუყვება თავის გზა-სავალს... და ყველაფერიც, უწინარესად კი მეგობრობა, გულიანი და უღალატო იცის. თუ გენდო და გიძმო, მისი გულის კარები, მისივე საოცრად ლამაზი, თბილი და სტუმართმოყვარე ოჯახის ბჭეთა დარად, მუდამ დაუკაკუნებლად ღიაა შენთვის“.

და არც არის გასაკვირი, რომ ასეთ ადამიანს, პატრიოტს, მამულიშვილს დღენიადაგ თავისი სამშობლოს სვე-ბედი აღელვებდეს, მისი დღევანდელობა და მომავალი აფიქრებდეს. ეს კარგად ჩანს განსახილველ გამოცემაში დაბეჭდილი მისი ერთი მასალიდანაც **„უკუსვლით — დაშლისკენ თუ წინ — გაერთიანება-აღმშენებლობისკენ?“** აი, ამის დამადასტურებელი ერთი ტკივილიანი ციტატა ამ პუბლიკაციიდან:

„დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქა მამულის აღმშენებლობისთვის უნდა გვრაზმავდეს და გვაერთიანებდეს... დღევანდელი საქართველო კი დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის დროინდელი საქართველოს მხოლოდ ნეგატივია...

ისინი იბრძოდნენ, აერთიანებდნენ, ამთლიანებდნენ მამულს, იბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიებს, პატრიოტიზმის მიმბაძველი ძალის მქონე პირადი მაგალითებით აღაფრთოვანებდნენ და რწმენით შემოიკრებდნენ მოყვასთ.

ჩვენ ვშლით!..

ისინი ცოდვებს სახალხოდ ინანიებდნენ.

ჩვენ მოუნანიებელი ცოდვებით ვცხოვრობთ!.. ისტორიული სინდისის ქენჯნას არ განვიცდით, თაობებს შორის აღმშენებლობის მემკვიდრეობითობის პასუხისმგებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ!

ვერ ვიდავითეთ, ვერ ვივარგეთ.

სამწუხაროდ, უფრო მეტს ვმსჯელობთ თუ გაუთავებლად ვდავობთ, ვიდრე კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ.

არა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია, არამედ იმიტომ, რომ ვერ ვიცლით, სათანადოდ ვერ ვუღრმავდებით პრობლემას. ხშირად, უბრალოდ ვერ ვითავისებთ საფრთხეს.

საქართველოში დღესაც ბოლომდე ვერ გაგვიგია, რა აწერინებდა დიდ დავითს საგალობლებს, რატომ ითხოვდა ღვთისგან შენდობას...“

ამ ფიქრიან-გულისტკივილიანი სტრიქონების ავტორი **ნუგზარ ნადარაიაა,** ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც ახლახან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად აირჩიეს, რასაც მისი დიდი სამეგობროს სახელითაც გულითადაც ვულოცავთ.

სწორედ ბატონ ნუგზარს ეძღვნება ის რამდენიმე ამონარიდიც, ახლა რომ გაგაცანით. ისინი ამოკრებილია სამეცნიერო ჟურნალ-კრებულის „ცოტნეიდელის“ მორიგი, დამატებითი მერვე ტომიდან (ნაწილი I), რომელიც ახლახან მიეწოდა მკითხველს (იდეის ავტორი და გამომცემელი — ნუგზარ ნადარაია; ამ სპეცგამოშვების მთავარი რედაქტორი — ფაზისის აკადემიის თანაპრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჭითანავა).

გამოცემაში გამოქვეყნებული საიუბილეო მასალების გარდა, რომელთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილის ამონარიდები გაგაცანით, დასტამბულია სხვადასხვა ჟანრის ბევრი საინტერესო და საყურადღებო მასალა ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან თუ დღევანდელობიდან, სასულიერო თუ საერო ცხოვრებიდან, რომელთაც მკითხველი უთუოდ დიდი ინტერესით გაეცნობა. „ცოტნეიდელის“ ეს ტომიც კვლავინდებურად კარგად არის ილუსტრირებული და ტექნიკურად გაფორმებული.

რუსლან რუსია

◎ ალიანჩალიანი

გენშტაბის უფროსმა ვიზიტის შედეგები შეაფასა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტი დაასრულა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ვახტანგ კაპანაძემ პენტაგონში, ამერიკელ სამხედრო მაღალჩინოსნებთან გამართა შეხვედრები.

კაპანაძემ ვიზიტი შეაჯამა და აღნიშნა, რომ ის ძალიან ნაყოფიერი და წარმატებული იყო.

„აღნიშნული ვიზიტი შეიძლება ჩაითვალოს უნიკალურად. ამ მასშტაბით, შეხვედრების რაოდენობითა და შინაარსით, მსგავსი ვიზიტი ჯერ არ განხორციელებულა. ეს ყველაფერი მოწმობს იმას, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. ეს არის ყველა იმ სამხედრო მოსამსახურის დამსახურება, რომლებიც თავის მისიას წარმატებით ასრულებენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ასევე, იმ რეფორმების დაფასება, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობს“, — განაცხადა გენერალური შტაბის უფროსმა.

ვიზიტის ფარგლებში გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე აშშ-ის არმიის შტაბის უფროსს, გენერალ რეიმონდ ოდიერნოს, აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსების თავმჯდომარეს, გენერალ მარტინ დემპსის, ეროვნული გვარდიის ბიუროს უფროსის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ჯოზეფ ლინგელს, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის სააგენტოს ხელმძღვანელს, ვიცე-ადმირალ ჯოზეფ რიქსის და აშშ-ის საზღვაო ქვეითი ძალების სარდლის მოადგილეს, გენერალ ჯონ პაქსტონს შეხვდა.

სპეციალურად ქართველ გენერალთან შესახვედრად ჯორჯიის შტატიდან ეროვნული გვარდიის სარდალი, გენერალი ჯეიმს ბათერვორთი ჩავიდა. გენერალური შტაბის უფროსი მერილენდის შტატის ქალაქ ბეთესდაში მდებარე ვალტერ რიდის სახელობის ეროვნულ სამხედრო სამედიცინო ცენტრსაც ესტუმრა, სადაც მას ცენტრის ხელმძღვანელმა ბრიგადის გენერალმა ჯეფრი კლარკმა უმასპინძლა. გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე აშშ-ის არმიის ომის კოლეჯშიც იმყოფებოდა.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ედუარდ შევარდნაძე: ბერლინის კედლის დაცემა შეიძლებოდა, ახალი ომის დასაწყისი გამხდარიყო

ედუარდ შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილი წევრი და 1985-დან 1990 წლამდე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, იყო სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პარტნიორი. შევარდნაძემ შეასრულა საკვანძო როლი „გარდაქმნის“, „საჯაროობის“, საერთაშორისო დაძაბულობის პოლიტიკის განხორციელებაში, „ცივი ომის“ დამთავრებაში და „რკინის ფარდის“ ნგრევაში. 2009 წელს, კედლის დაცემის 20 წლის წინა პერიოდში ამერიკის ხმის კორესპონდენტმა ანა ლეონიდოვამ ედუარდ შევარდნაძისგან ექსკლუზიური ინტერვიუ აიღო.

ანა ლეონიდოვა: ბატონო შევარდნაძე, ბერლინის კედელთან ერთად ჩამოვარდა „რკინის ფარდაც“, დამთავრდა „ცივი ომის“ ერა. ამ ისტორიულ მოვლენაში თქვენ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღეთ უშუალო მონაწილეობა. ხომ არ შეგეძლოთ, გაგეზიარებინათ მოგონებანი იმ დღეების შესახებ?

ედუარდ შევარდნაძე: მე ბერლინის კედლის დაცემის შესახებ ბერლინში საბჭოთა ელჩისგან გავიგე. მე მაშინ მოსკოვში ვიყავი. ელჩმა დამირეკა და მითხრა, რომ გერმანელები იწყებენ კედლის ნგრევას. იქ იდგა ნახევარმილიონიანი საბჭოთა არმია. თუ არმია ჩაერეოდა ამ მოვლენაში, საკითხი შეიძლებოდა, შეხებოდა ახალი ომის დაწყებას. გორბაჩოვი და მე გავფრინდით ბერლინში და ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ჩვენი ჯარები არ ჩარეულიყო ამ საქმეში. რომ მათ ხელი არ შეეშალათ გერმანელებისთვის კედლის დანგრევაში.

— გარდაქმნის პერიოდში თქვენ უზრუნველყოფდით პრეზიდენტ გორბაჩოვის გუნდის საგარეო-პოლიტიკურ გამარჯვებებს. რა იყო ყველაზე რთული ამ გამარჯვებების მომზადებაში? ვინ გიშლიდათ ხელს და გყავდათ თუ არა თქვენ ჭეშმარიტი თანამოაზრენი?

— იყვნენ თანამოაზრენიც, იყვნენ მოწინააღმდეგეებიც...

— თქვენ იყავით სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის არქიტექტორი ორი ზესახელმწიფოს არსებობის დროს. როგორ შეძელით, გარდაგექმნათ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი?

— უწინარეს ყოვლისა, უნდა გადაგვეწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ეს უბრალო საკითხი როდი იყო. ამას ხელს უწყობდა შეხვედრა მალტაზე, რომელსაც ვესწრებოდით უფროსი ბუში, ბეიკერი, გორბაჩოვი და მე. მაშინ მივიღეთ დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ. ეს იყო პირველი მცდელობა მსოფლიო კლიმატის დათბობისა. მეორეც, მე ხშირად ჩავდიოდი ვაშინგტონში, ვხვდებოდი პრეზიდენტს. ბეიკერმა დამარწმუნა, გავფრენილიყავი ვაიომინგში და იქ მეწარმოებინა მოლაპარაკება. ჩვენ ოთხი საათი მივფრინავდით. მზიანი დარი იყო, და მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ღია ცის ქვეშ. ჩვენ იქ ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები არიან არა თუ მოწინააღმდეგენი, არამედ პარტნიორები. ამას პარტნიორული შეთანხმება ეწოდება.

— ბატონო ედუარდ, დღეს შენობაში სმოლენსკის მოედანზე ახალი ხალხია. როგორ აფასებთ მათ მუშაობას რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის აგებაში?

— ჩემთვის ძნელია ამაზე მსჯელობა. ისინი იცავენ თავიანთ ინტერესებს, რუსეთის ინტერესებს, მაგრამ უშვებენ ბევრ შეცდომას. მიმაჩნია, რომ რუსეთმა დაუშვა უდიდესი შეცდომა, როდესაც აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა. ამით მათ უჩვენეს თავიანთ ხალხებს (მხედველობაში მყვანან ჩეჩნები, ინგუშები, სხვა ჩრდილოკავკასიელი ხალხები, თათრეთი, ბაშკოროსტანი და სხვები), რომ ყველა მათგანს შეუძლია, იბრძოლოს დამოუკიდებლობისთვის. ასეთი მოძრაობა რუსეთში უკვე დაიწყო.

— თქვენს დროს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობები არაჩვეულებრივ აღმავლობას განიცდიდა. როგორ ხედავთ თქვენ პირადად რუსეთ-ამერიკის ურთიერთობათა დღევანდელ დონეს?

— ახლა შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობანი დიდად მიმზიდველი არ არის. ბევრია დაპირისპირება, უმთავრესად — რაც დაკავშირებულია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან.

— ერთ-ერთ თქვენ წინამორბედს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ბატონ გრომიკოს დასავლეთში „მისტერ არას“ უწოდებდნენ. შეიძლება თქვენ, ბატონო ედუარდ, გიწოდოთ „მისტერ დიახ“?

— არა, მე არ მიყვარს ასეთი გამოთქმები. გრომიკო დიდი დიპლომატი იყო. მან შექმნა საბჭოთა დიპლომატიის სკოლა. გორბაჩოვმა შემომთავაზა, გავმხდარიყავი მინისტრი გრომიკოს შემდეგ. დღემდე მიმაჩნია, რომ გრომიკოს ჰქონდა დიდი დამსახურებები, განსაკუთრებით რუსეთის, საბჭოთა კავშირის დიპლომატიური სკოლის შექმნაში. თუ როგორი ვიყავი მე, როგორც მინისტრი, ჩემი განსასჯელი არ არის.

Voice of America

საქართველოს ყოფილი პრემიერი კიდევ გვაჩვენებს თავს

მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ თოქ-შოუს წაიყვანს

თბილისში გაიმართა თავდაცვის ექს-მინისტრის ირაკლი ალასანიას პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობა, პარტიისა, რომელიც გადავიდა ოპოზიციაში მისი პოსტიდან გადაყენების შემდეგ. მმართველი კოალიციის დამფუძნებელმა და არაფორმალურმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ექს-მინისტრის მოქმედებას შეცდომა უწოდა და გადაკვრით მიანიშნა მის მონაწილეობაზე კორუფციაში. ხოლო იმისთვის, რომ თანამოქალაქეებისთვის აეხსნა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების არსი, მილიარდერმა გადაწყვიტა, გახდეს პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანი.

„თავისუფალი დემოკრატების“ ყრილობა გასული კვირის ბოლოს გაიმართა. პარტიის ლიდერები არ ფარავდნენ, რომ მათი ყრილობა ნიშნავს პარტიის საბოლოო გადასვლას ოპოზიციაში.

ყრილობამ პარტიის თავმჯდომარედ აირჩია ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. თანაპარტიელების წინაშე გამოსვლის დროს ბატონმა ალასანიამ გადაკვრით აღნიშნა, რომ მთელი ისტორია თავდაცვის სამინისტროს ხუთი თანამშრომლის დაკავებასთან დაკავშირებით არის პოლიტიკურად მოტივირებული ოპერაცია, რომელიც სპეცსამსახურებმა განახორციელეს.

წინა დღით პროკურორი გიორგი ბადაშვილი და მისი მოადგილე ირაკლი შოთაძე რამდენიმე საათის განმავლობაში ეთათბირებოდნენ პრემიერს, პროკურატურის სპეცსამსახურმა კი გაავრცელა განცხადება, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტი ტელესაკომუნიკაციო კომპანია „სილქნეტთან“, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტმა, გამოძიების მტკიცებით, დაახლოებით 2,5 მილიონი დოლარი დაკარგა.

ბრალდების პოზიციას, როგორც ჩანს, კარგად იცნობს ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც. პირველად 2013 წლის ნოემბერში გადადგომიდან იგი გამოვიდა დაწვრილებითი განმარტებებით შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, მისცა ვრცელი ინტერვიუ „საქართველოს საზოგადოებრივ ტელევიზიას“. როდესაც დეტალურად ისაუბრა პროკურატურის არგუმენტების შესახებ დაპატიმრებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ, მილიარდერმა გვაგრძნობინა, რომ ეს არგუმენტები სავსებით დამარწმუნებულია. „როგორც ბიზნესმენი, მე ვგრძნობ, რომ ამ კონტრაქტთან დაკავშირებით რაღაც არ არის სუფთად საქმე, არის შეკითხვები, — გაუზიარა მან თავისი ეჭვი ტელემაყურებლებს. — გაურკვეველია, რატომ გააფორმეს კონტრაქტი „სილქნეტთან“, მაშინ, როდესაც მეორე კომპანია, რომელიც მონაწილენობდა კონკურსში, სთავაზობდა, ააგონ საკომუნიკაციო ნაკლებ თანხაზე.

მან მოუფიქრებელი და მცდარი უწოდა ირაკლი ალასანიას და მისი თანაპარტიელების გადაწყვეტილებას, დატოვონ მმართველი კოალიცია.

სხვათა შორის, საქართველოს საზოგადოებრიობა და ექსპერტები მთლიანად ნეგატიურად მოეკიდნენ პროკურატურის მოქმედებებს, ტელეკომპანიების გამოკითხვებმა კი დაადასტურეს: უმრავლესობა ბრალდებებს ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ პოლიტიზირებულად მიიჩნევენ. ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, თავად გამოესწორებინა მდგომარეობა: მილიარდერი ამოქმედებს საკუთარ ტელეპროექტს ტელეარხზე, რომელიც მის შვილს, რეპერ ბერა ივანიშვილს ეკუთვნის. „ეს იქნება ანალიტიკური პროგრამა, მე ვიქნები სამ ექსპერტთან ერთად“, — განმარტა ექს-პრემიერმა. მისი სიტყვებით, საქართველოს საზოგადოებას „არ ჰყოფნის სწორი ანალიზი, რათა შეადგინოს ქვეყანაში მოვლენათა ადეკვატური სურათი“.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ გააფრთხილა თანამშრომლები სექსის საფრთხის შესახებ „ლამაზ რუს ქალებთან“, — ამტკიცებს პრესა

გაზეთ „დი სანდი ტაიმსის“ მონაცემებით, ჩინოვნიკები გააფრთხილეს შესაძლო „მახეების“ შესახებ, სადაც ისინი შეიძლება შეიტყუონ სხვადასხვა მიზეზით ანდა „სექსუალური აქტივობით“. ასე აკეთებდნენ სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ცივი ომის დროს. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმაციას კომენტარს არ უკეთებენ.

* * *

უძველ დღეებში ეუთოს მეთვალყურეებმა ორჯერ შენიშნეს სამხედრო ტექნიკა განმასხვავებელი ნიშნების გარეშე დონეცკში

დონეცკსა და იასინოვატაში რამდენიმე მასშტაბური სროლების შემდეგ სეპარატისტებს მიჰყავთ ძალები ქალაქისკენ. ეუთოს მეთვალყურეებმა ანგარიში ჩააბარეს დასავლეთში გადაადგილების შესახებ სატვირთო მანქანებით, „გრადებით“ და ჰაუბიცებით. ცნობები სამხედრო ტექნიკის გადაადგილების შესახებ უკრაინის ძალოვანების საკონტროლო ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ შემოსულა. დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში ტაქტიკურ მოსაზრებებზე საუბრობენ.

* * *

ბაჰამზე თვითმფრინავის დამსხვრევის შედეგად 9 კაცი დაიღუპა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, დაღუპულთა შორის არის მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი მოძღვარი, მწერალი და რამდენიმე დიდი ორგანიზაციის დამაარსებელი მაილს მონრო, აგრეთვე მისი მეუღლე.

* * *

კატალონიის მცხოვრებთა უმრავლესობამ სიმბოლური გამოკითხვის დროს ხმა მისცა ესპანეთიდან დამოუკიდებლობას

პლებისციტში მონაწილეობას ორ მილიონზე მეტი კაცი ღებულობდა. მათ უპასუხეს ორ შეკითხვას: „გსურთ, რომ კატალონია გახდეს სახელმწიფო?“ და „თუ კი, გსურთ, რომ კატალონია გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო“?. „კი — კი“ — უპასუხა მონაწილეთა 80-ზე მეტმა პროცენტმა, ხოლო „კი — არა“ — დაახლოებით 10 პროცენტმა. იდეას დამოუკიდებლობის შესახებ მხარი არ დაუჭირა პროვინციის მცხოვრებთა 4,5 პროცენტმა.

საქმე №1/86-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

7 ნოემბერი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: ბესარიონ კობერიძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 24 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის ბესარიონ კობერიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 10 ოქტომბერს, ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ, ბესარიონ კობერიძეს შორის დაიდო №101312386 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1130 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 10.11.2013.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

– მარკა, მოდელი: რენო ლაგუნა, ტიპი: ჰეტჩბეკი, ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2003; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №VF1BGOC0528533382. სარეგისტრაციო მოწმობა: AV9596847, სარეგისტრაციო ნომერი: KHK578.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაადვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

ამასთან მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონიძიების გამოყენება და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 24 ივლისის განჩინებით ყადაღა დაედო ბესარიონ კობერიძის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. 21-ში მდებარე უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ბესარიონ კობერიძეს სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ბესარიონ კობერიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შენდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე რეგისტრაციისა და ასევე მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ბესარიონ კობერიძეს (პ/ნ 01005000303) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. ბესარიონ კობერიძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე ბესარიონ კობერიძეს ეცნობოს, რომ 2014 წლის 27 ნოემბერს 17:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ბესარიონ კობერიძის მიმართ.
5. ბესარიონ კობერიძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/112-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

7 ნოემბერი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: მიხეილ ჯაფარიძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 30 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის მიხეილ ჯაფარიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 10 ივლისს, ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ, მიხეილ ჯაფარიძეს შორის დაიდო №071312108 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 2700 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება:

– მარკა, მოდელი: ჯიპ გრანდ ჩეროკი, ტიპი: მსუბუქი მაღალი გამავლობის, ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2000; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №1J4GWB845YY135482; სარეგისტრაციო მოწმობა: AV9461210, სარეგისტრაციო ნომერი: QLQ764;

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაადვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მიხეილ ჯაფარიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მიხეილ ჯაფარიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შენდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე რეგისტრაციისა და ასევე მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მიხეილ ჯაფარიძეს (პ/ნ 62003012331) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. მიხეილ ჯაფარიძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე მიხეილ ჯაფარიძეს ეცნობოს, რომ 2014 წლის 27 ნოემბერს 16:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით მიხეილ ჯაფარიძის მიმართ.
5. მიხეილ ჯაფარიძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ძიუდო

იაპონური სლემის თბილისური პრელუდია

სასპორტო კომპლექს „არენის“ მთავარ დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი მონაწილეობდა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში არ უასპარეზია მსოფლიოს და ევროპის წლევანდელი ჩემპიონატების პრიზიორ ამირან პაპინაშვილს. მართალია, მწვრთნელებმა მას დასვენების საშუალება მისცეს, მაგრამ მაინც აპირებდა ტატამზე გასვლას, თუმცა, მუხლის ტრავმამ შეუშალა ხელი. შიდა კონკურენციაში არ ჩარეულან ევროპის და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ). მთავარი ყურადღება 73 კილოგრამი წონითი კატეგორიისკენ იყო მიპყრობილი, რადგან პირველ ნომრად განთესილი ნუგზარ ტატალაშვილი გადამწყვეტ ბრძოლაში ლაშა შავდათუაშვილს უნდა დასჭიდებოდა, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი თანაგუნდელთან საპაექროდ არ გამოვიდა. ნახევარფინალში მან ერთი გაფრთხილებით მე-8 წუთზე აჯობა ზებედა რეხვიაშვილს. მსაჯის ამ გადაწყვეტილებამ რეხვიაშვილი ისე გააბრაზა, რომ რეპეშაჟის ფინალში ჭიდაობაზე უარი თქვა, მაგრამ საქმეში ნაკრებისა და ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობა ჩაერია, ისიც ტატამზე დაბრუნდა, სადაც ზვიად კაპანაძის ძლევით ბრინჯაო გაინაღდა.

81 კილოგრამში შეჯიბრება წაუგებლად უშანგი მარგიანმა ჩაამთავრა. ახალგაზრდებს შორის ევროპის და მსოფლიოს წლევანდელი პირველობების ბრინჯაოს პრიზიორი ლევან გუგავა სამეულს მიღმა აღმოჩნდა.

90 კილოში, მოლოდინისამებრ, ყველას ბექა ღვინიაშვილმა აჯობა. 18 წლის ძიუდოისტი, რომელიც წლეულს 21-წლამდელებში ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი, ოქროსთვის ბრძოლაში პაატა ღვინიაშვილს დაუპირისპირდა და საქართველოს შარშანდელი პირველობის ნახევარფინალში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო.

100 კილოგრამში შარშანდელი გამარჯვებული გურამ თუშიშვილი მხოლოდ მეოთხედფინალამდე მივიდა და იქ მომავალ ჩემპიონ ლაშა გურულთან სუფთად წააგო. მძიმე წონაში ყველას ადამ ოქრუაშვილმა აჯობა. კვარცხლბეკზე ავიდა მისი ძმა ვახტანგიც, რომელმაც წლევანდელი სეზონი აზერბაიჯანის ნაკრების სახელით ჩაატარა და საქართველოში რამდენიმე თვის წინ დაბრუნდა.

საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი უზნაძე ტოკიოს დიდი სლემის ტურნირზე (5-7 დეკემბერი) წამსვლელთა ვინაობას დაასახელებს.

კვარცხლბეკი

60 კგ. 1. ლაშა გიუნაშვილი (შიდა ქართლი), 2. პაატა მერებაშვილი (აჭარა), 3. ბეთქილ გულბანი (იმერეთი), გიორგი ბროლაშვილი (თბილისი).

66 კგ. 1. ვაჟა მარგველაშვილი (შიდა ქართლი), 2. მინდია ლილუაშვილი (იმერეთი), 3. გიორგი გუგულაშვილი (გურია), ტრისტან ფეიქრიშვილი (აჭარა).

73 კგ. 1. ნუგზარ ტატალაშვილი (შიდა ქართლი), 2. ლაშა შავდათუაშვილი (შიდა ქართლი), 3. ზებედა რეხვიაშვილი (ქვემო ქართლი), ფრიდონ გიგანი (ქვემო ქართლი).

81 კგ. 1. უშანგი მარგიანი (იმერეთი), 2. გიორგი პაპუნაშვილი (შიდა ქართლი), 3. თამაზ კირაკოზაშვილი (კახეთი), ამბაკო ავალიანი (ქვემო ქართლი).

90 კგ. 1. ბექა ღვინიაშვილი (შიდა ქართლი), 2. პაატა ღვინიაშვილი (შიდა ქართლი), 3. ზვიად გოგოჭური (კახეთი), ნოდარ ბერიანი (ქვემო ქართლი).

100 კგ. 1. ლაშა გურული (იმერეთი), 2. ალექსანდრე ზაალიშვილი (შიდა ქართლი), 3. იასონ ნემსაძე (იმერეთი), რევაზ წულუკიძე (აჭარა).

+100 კგ. 1. ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 2. ონისე ბუღაძე (იმერეთი), 3. ვახტანგ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), გიორგი ბოლოთაშვილი (შიდა ქართლი).

ლექსო ციწცაძე

◎ კალათბურთი

„ლეიკერზმა“ პირველად მოიგო, „გოლდენ სტეიტმა“ პირველად წააგო



გუშინ გამთენიისას NBA-ში 8 მატჩი გაიმართა. „იუტამ“ მძიმე ბრძოლაში „დეტროიტი“ 97:96 დაამარცხა. „დეტროიტი“ მესამე პერიოდში 9 ქულასაც კი უგებდა მეტოქეს, მაგრამ ბოლო პერიოდში „იუტამ“ შეძლო თამაშის შემოტრიალება. თამაშის დასრულებამდე 4 წამით ადრე „იუტა“ 97:96 იგებდა, ბურთი „დეტროიტის“ კალათბურთელს ბრენდან ჯენინგსს ჰქონდა, რომელმაც 2-ქულიანი ისროლა და ბურთმა მიზანს ვერ მიაღწია.

„ტორონტომ“ შინ 32-ქულიანი სხვაობით გაანადგურა „ფილადელფია“ 120:88. „ტორონტომ“ ოთხივე პერიოდი მოიგო.

„დალასი“ სახლში „მაიამისთან“ 96:105 დამარცხდა. მატჩის საუკეთესო მექულე ლუოალ დენგი გახდა 30 ქულით. „დალასის“ ლიდერ დირკ ნოვიცკის 17 ქულა ჰქონდა.

„გოლდენ სტეიტი“ NBA-ში ერთადერთი გუნდი იყო, რომელსაც წაგება არ ჰქონდა. „ფინიქს სანზმა“ საკუთარ დარბაზში „გოლდენ სტეიტი“ 107:95 დაამარცხა. სტეპ კარიმ 28 ქულა ჩააგდო, კლეი ტომპსონმა კი 22 ქულა, მაგრამ გუნდი მარცხისგან ვერ იხსნეს.

„ლეიკერზმა“ მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. ლოს ანჯელესურმა კლუბმა შინ მაიკლ ჯორდანის „შარლოტ ჰორნეტსი“ 107:92 დაამარცხა. მატჩში გადამწყვეტი მესამე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „ლეიკერზმა“ 21-ქულიანი სხვაობით მოიგო – 34:13. კალიფორნიელთა ლეგენდამ კობი ბრაიანტმა 21 ქულა ჩააგდო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ჩეხებმა ფედერაციის თასი მოიგეს

ფედერაციის თასი მესამედ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ჩეხეთის ქალთა ნაკრებმა მოიგო, რომელმაც საკუთარ მოედანზე, პრაღაში, 3:0 დაამარცხა გერმანიის გუნდი.

სტარტზე კვიტოვამ და საფაროვამ თავიანთი მატჩები მოიგეს და 2:0 დაწინაურდნენ, კვირას კი პეტრა კვიტოვამ გერმანელი ანჟელიკა კერბერი უმძიმეს ბრძოლაში (7:6, 4:6, 6:4) დაამარცხა და ჩეხები ფინალში 3:0 დაწინაურდნენ, რაც ჩემპიონობას ნიშნავდა.

პირველი სეტი პეტრასთვის ცუდად დაიწყო, კერბერი 5:2 იგებდა, მაგრამ ჩეხმა შეძლო და სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც უკეთ ითამაშა და 1:0 დაწინაურდა. მეორე სეტში კვიტოვამ 3:0 წაიყვანა და თითქოს მატჩისა და ჩემპიონის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ კერბერმა სეტი შემოაბრუნა და 6:4 მოიგო – 1:1. გადამწყვეტ მესამე სეტში კერბერი 4:1 დაწინაურდა და გერმანელებს შანსი უნდა დარჩენოდათ ბრძოლის გაგრძელებისა, მაგრამ კვიტოვამ ზედიზედ 5 გეიმი მოიგო და ჩეხეთის ნაკრები ფედერაციის თასის გამარჯვებული გახადა.

მატჩი 2 საათი და 58 წუთი გაგრძელდა. პეტრამ 12 ეისი ჩაწოდა და 8 ორმაგი შეცდომა დაუშვა, კერბერს არც ერთი ეისი არ ჰქონია, სამაგიეროდ 6 ორმაგი შეცდომა მოუვიდა. ჩეხებმა ბოლო ოთხ წელიწადში 3-ჯერ მოახერხეს Fed Cup-ის მოგება, ამის მთავარი შემოქმედი კი პეტრა კვიტოვა გახლავთ.

კობა კობახიძე

◎ კრივი

ანაპიდან – მხოლოდ ერთი მედლით

საქართველოს 9 წარმომადგენელი – გიორგი ჩარგაზია (50), გიორგი მანჯავიძე (52), დავით პეტროსიანი (54), ლაშა გერმანაშვილი (57), ესკერხან მადიევი (63), სტეფანე მხითარიანი (66), თარაშ კანდელაკი (75), ნიკოლოზ ბეგაძე (80) და გიორგი ზურაბიანი (+80) ცდიდა ძალებს ანაპაში (რუსეთი) ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში და მათგან მხოლოდ ერთი გავიდა მესამე ადგილზე, დანარჩენები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

52 კილოში კარგად იასპარეზა გიორგი მანჯავიძემ. მან ზედიზედ დაამარცხა რუმინელი კრისტიან ალექსანდრუ დრაგანი, შოტლანდიელი რეიან ბალი (მე-2 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით აჯობა), ირლანდიელი ჯონ ნევინი, ნახევარფინალში კი თავად დათმო იტალიელ მატეო პერერასთან და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

„ზღვის არწივებს“ ვერ გაუმკლავდნენ

ათი თვის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე ტონგას დაუპირისპირდება. იმ შეჯიბრებამდე კარგა დროა და „ბორჯღალოსნები“ მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით სათანადოდაც მოემზადებიან, მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ კუნძულელებთან გასულ უქმეებზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული ნოემბრის ტესტი დათმეს – სტუმართა გუნდი ამჯერად ჩვენსაზე ძლიერი იყო, არადა, მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. მე-12 წუთზე ზუსტი საჯარიმო დარტყმით მერაბ კვირიკაშვილმა ანგარიში გახსნა. ტონგას მორაგბეებმა წონასწორობა მალევე აღადგინეს. ტაიმის მიწურულამდე კვირიკაშვილმა ისევ დაანინაურა თავისიანები – 6:3. პირველი ტაიმიც ასე დამთავრდა.

შესვენების შემდეგ „ზღვის არწივები“ უკეთ ირჯებოდნენ, მაგრამ 66-ე წუთამდე ანგარიში არ შეცვლილა, დარჩენილ 15 წუთში კი სტუმრებმა სამი ლელო გაგვიტანეს და მატჩიც მოგვიგეს – 23:9. ამ გუნდების მორიგი შეხვედრა გაისად 19 სექტემბერს გლოსტერში გაიმართება. ნოემბერში ჩვენი გუნდი კიდევ ორ შეხვედრას ჩაატარებს - 16 ნოემბერს დუბლინში, „ავივა სთედიუმზე“ ექვსი ერის გამარჯვებულ ირლანდიას ეთამაშება, ხოლო 23 ნოემბერს იაპონიას უმასპინძლებს.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „იუვენტუსი “ – „პარმა“ 7:0, „ფიორენტინა“ – „ნაპოლი“ 0:1, „რომა“ – „ტორინო“ 3:0, „სამპდორია“ – „მილანი“ 2:2.

ესპანეთი. „რეალი“ – „რაიო ვალეკანო“ 5:1, „ალმერია“ – „ბარსელონა“ 1:2, „სევილია“ – „ლევანტე“ 1:1, „სოსიედადი“ – „ატლეტიკო“ 2:1, „ვალენსია“ – „ბილბაო“ 0:0.

ინგლისი. „ლივერპული“ – „ჩელსი“ 1:2, „მანჩესტერი“ – „კრისტალ პალასი“ 1:0, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ – „სიტი“ 2:2, „„სუონსი“ – „არსენალი“ 2:1.

გერმანია. „აინტრახტი“ – „ბაიერნი“ 0:4, „დორტმუნდი“ – „გლადბახი“ 1:0, „ჰერტა“ – „ჰანოვერი“ 0:2, „ვოლფსბურგი“ – „ჰამბურგი“ 2:0, „ჰოფენჰაიმი“ – „კიოლნი“ 3:4.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „მარსელი“ 2:0, „სენტ ეტიენი“ – „მონაკო“ 1:1, „ლიონი“ – „გენგამი“ 3:1.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ვის უფრო ლამაზი ქალი ჰყავს?

ინტერნეტ პორტალმა dekatop.com-მა შეადგინა ცნობილ სპორტსმენთა პარტნიორი ქალების საუკეთესო ხუთეული, რომელიც ასე გამოიყურება:

ირინა შეიკი, რუსი სუპერმოდელი, კრიშტიანუ რონალდუს მეგობარი;

ნიკოლ შერზინგერი, ვოკალისტი, პოპ-ვარსკვლავი, ფორმულა 1-ში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ბრიტანელი ლუის ჰემილტონის მეგობარი;

ადრიანა ლიმა, სუპერმოდელი, სერბი კალათბურთელის მარკო იარიჩის მეგობარი;

ჟიზელ ბიუნდჰენი, ცნობილი მანეკენი, ამერიკელი ფეხბურთელის ტომ ბრეიდის ცოლი;

ბრუკლინ დეკერი, ამერიკელი მსახიობი, ცნობილი ჩოგბურთელის ენდი როდიკის ცოლი.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სად მიდის მოსახლეობის სამომხმარებლო ფული?

5 რამ, რაშიც ქართველები ყველაზე მეტ ფულს ხარჯავენ

ქვეყანაში მოსახლეობის მიერ გაწეული ფინანსური ხარჯებისა და პრიორიტეტების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, თუ რამდენად ძლიერია ქვეყნის ეკონომიკა და, შესაბამისად, მოსახლეობა. ამ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველ წელს აქვეყნებს. რაც უფრო დაბალშემოსავლიანია ქვეყნის მოსახლეობა, მით მეტ თანხას ხარჯავს სურსათზე, თამბაქოსა და სასმელზე. ასეა საქართველოშიც. შემდეგ მოდის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საოჯახო მოხმარების საქონელი, ჯანდაცვა, სათბობი და ელექტროენერგია.

რაში იხარჯება ქვეყნის მოსახლეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯები და როგორია ეს მონაცემები ევროკავშირის სტანდარტებთან მიმართებაში? ამ და სხვა საინტერესო თემაზე bpn.ge ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში **სოსო არჩვაძეს** ესაუბრა.

სოსო არჩვაძე: „საქართველოში სამომხმარებლო ხარჯებში ყველაზე დიდი წილი, 30% სურსათს უკავია, რაც შეეხება სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, სურსათის მაჩვენებელმა 40%-საც შეიძლება მიაღწიოს. თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ სამომხმარებლო ხარჯებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განსხვავებაა ღარიბი და მდიდარი მოსახლეობის მონაცემებს შორის. მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში ღარიბი მოსახლეობის ფულადი წილი სურსათში 58 პროცენტია, ხოლო მდიდრებისა – 18 პროცენტი. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სასურსათო ხარჯებში შედის ნატურალური მოხმარება, რაც საკუთარი მეურნეობიდან მიღებულ პროდუქტს, ან სულაც ნაჩუქარ პროდუქტს გულისხმობს“.

სოსო არჩვაძის თქმით, სამწუხაროდ, საქართველო არის მსოფლიო ქვეყნების იმ პირველ ათეულში, სადაც მთლიან ჯანდაცვის ხარჯებში მოსახლეობის მიერ გაწეულ ხარჯებს ყველაზე მეტი წილი უკავია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სოციალური დაცვის სისტემა მწირია და ვერ აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს. ეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარეობს. საქართველოს მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი) საშუალო მსოფლიო ანალოგიური მაჩვენებლის მესამედის დონეზეა, რაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ყველა მიმართულება თანაბრად იყოს დაფინანსებული სახელმწიფოს მხრიდან. რაც შეეხება კომუნალურ გადასახადებს, ის გაწეული ფულადი ხარჯების

თითქმის მეოთხედს შეადგენს, ტრანსპორტით სარგებლობის ხარჯები კი თითქმის 10%-ს უტოლდება. ეს მონაცემი ყოველ წელს იზრდება.

„საქართველოში დაახლოებით მილიონ ასი ათასი ოჯახია და თითქმის 900 ათასი ავტომობილია, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომობილების კონცენტრაციის ოდენობა თითოეულ ოჯახზე თანდათან იზრდება. იმატებს ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომელთა მფლობელობაში ერთზე მეტი ავტომობილია. მაგრამ კერძო საავტომობილო პარკის ზრდა იმ მედლის შებრუნებული მხარეა, რასაც ჰქვია საქალაქო კომუნალური ტრანსპორტის შედარებით დაბალი განვითარება. კარგ მაგალითად მოვიყვან ჟენევას, რომელიც მილიონერთა ქალაქია და იქ ცხოვრების დონე ძალიან მაღალია, თუმცა, განვითარებულია ყველა ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ჩვენ პროვინციული სნობიზმი გვჭირს“, – ამბობს არჩვაძე.

გაეროს მონაცემების მიხედვით, სურსათის, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების ყველაზე მცირე ხარჯების მხრივ ამერიკა ყველაზე მოწინავე ადგილზეა, საქართველო კი 68-ე ადგილზეა. არჩვაძის შეფასებით, ეს არც ისე კარგი მაჩვენებელია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკონომიკური განვითარების მხრივ ჩვენ 117-ე ადგილზე ვართ, გამოდის, რომ საქართველოში სურსათის მოხმარება ყველაზე უფრო პრიორიტეტული არ არის და არამატერიალურ სიკეთეებს, კულტურას, დასვენებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ არც ისე ცოტა ფინანსებს ვუთმობთ.

ექსპერტი სოსო არჩვაძე განათლების პრიორიტეტულობასა და ბოლოდროინდელ ტენდენციაზე საუბრობს: „ბოლო 10 წელზე მეტია განათლებისთვის გაწეულმა ხარჯებმა საგრძნობლად იმატა. ევროკავშირში განათლებაზე საშუალოდ იხარჯება მშპ-ს (მთლიანი შიდა პროდუქტი) 5,8%, ხოლო ჩვენთან – 3,2%. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საშუალო ფენა თითქმის არ არსებობს და მოსახლეობის უმრავლესობას საკმაოდ დაბალი შემოსავალი აქვს, მათი მოტივაცია განათლების მიღებისა საკმაოდ მაღალია. მოსახლეობას რომ თავი დავანებოთ, სასიხარულო ფაქტი გახლავთ ის, რომ ბოლო წლის ბიუჯეტში განათლებისთვის გამოყოფილი ხარჯები 58 მილიონი ლარით არის გაზრდილი“.

სალომე შიხაშვილი

ქ. თბილისში მცხოვრები საზოგადოება „ფოთელების“ სახელით ვიუწყებით ბ-ნი ბაკურ გულუას ძმის

კობა გულუას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.

გამგეობა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ ბაკურ გულუას ძმის

კობა გულუას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე არსენა, შვილები გოჩა, ნინო ყოჩიაშვილები, რძალი მარიკა პოპიაშვილი, სიძე მიშა ხარაშვილი, შვილიშვილები არსენა, დათო, რეზო, მაკა, ქეთი, მძახალი ნანა ჭიჭინაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციცო ქადაგიშვილი-ყოჩიაშვილი

დაკრძალვა 11 XI, დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქ. №13.

◎ ინფორმაცია

ფალსიფიცირებული სასმელები

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ალკოჰოლური სასმელი „სარაჯიშვილის“, ცქრიალა ღვინო „ბაგრატიონისა“ და მინერალური წყალი „ბორჯომის“ ფალსიფიკაციის ფაქტზე, სამი პირი დააკავა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

ფინანასთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულები, ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელის დასამზადებლად იყენებდნენ სხვადასხვა ესენციას და დაბალი ხარისხის სპირტს, ხოლო „ბორჯომის“ დასამზადებლად იყენებდნენ ონკანის წყალს, სოდას, მარილს, იოდს, აირს და წინასწარ შეგროვებულ 0,5-ლიტრიან ბოთლებში ასხამდნენ.

ფინანასთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ფალსიფიცირებული სასმელების რეალიზაცია ხდებოდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სავაჭრო ობიექტზე. კუსტარული საწარმოს ჩხრეკის შედეგად ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული პროდუქცია და მანქანა-დანადგარები.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84..

◎ SIC!

კიბოს დამარცხების წამალი გასაჯაროვდა

1. ნებისმიერ ადამიანს ორგანიზმში აქვს კიბოს უჯრედები, მათი აღმოჩენა შეუძლებელია სტანდარტული ტესტებით, თუ ის არ გადააჭარბებს რამდენიმე მილიარდს. როდესაც ექიმი ეუბნება კიბოთი დაავადებულს, რომ მკურნალობის შემდეგ მის ორგანიზმში არ არსებობს კიბოს უჯრედები, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ტესტებმა ისინი ვერ აღმოაჩინეს, რადგან მათ ჯერ ვერ მიაღწიეს შესამჩნევ და საშიშ ზომას.

2. კიბოს უჯრედები წარმოიშვებიან 6-დან 10-მდე და უფრო მეტჯერაც ცხოვრების განმავლობაში.

3. როდესაც ადამიანის იმუნური სისტემა ძლიერია, კიბოს უჯრედები ნადგურდება. იმუნიტეტი აფერხებს მის გამრავლებას და სიმსივნეებად ჩამოყალიბებას.

4. როცა ადამიანს აქვს კიბო, ეს მიუთითებს მისი კვების ხარვეზებზე, ცხოვრების წესის ფაქტორსა და გარემოზე, ეს შეიძლება იყოს გენეტიკურიც.

5. დიეტა და სწორი კვება, ეს არის დამატებითი ფაქტორი იმუნური სისტემის გასაძლიერებლად.

6. ქიმიოთერაპიას შეუძლია, კიბოს მზარდი უჯრედების განადგურება, თუმცა, ის ანგრევს ძვლის ტვინში სწრაფად მზარდ, ჯანსაღ უჯრედებსაც, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალურ მოქმედებას და შეიძლება დააზიანოს ისეთი ორგანოები, როგორიცაა გული, ღვიძლი და ა.შ.

7. კიბოს უჯრედების რადიაციული განადგურება იწვევს დამწვრობას, ზიანს აყენებს ჯანსაღ უჯრედებს, ქსოვილებსა და ორგანოებს.

8. პირველადი მკურნალობა ქიმიოთერაპიით ძალიან ხშირად ამცირებს სიმსივნის ზომას, თუმცა, მისი ხანგრძლივი გამოყენება ხშირად არ არის ეფექტური.

9. როდესაც სხეულს აქვს ძალიან ბევრი ტოქსიკური ტვირთი, ქიმიოთერაპიითა და რადიაციული დასხივებით, იმუნური სისტემა სუსტდება ან ნადგურდება და ადამიანის ორგანიზმი ხდება ადვილად მიღწევადი სხვადასხვა ტიპის ინფექციებისა და გართულებებისთვის.

10. კიბოს უჯრედებმა შეიძლება განიცადონ მუტაცია, რაც იწვევს ქიმიოთერაპიულ და რადიაციულ ზემოქმედებაზე მის შეგუებას. ქირურგიამ შეიძლება გამოიწვიოს კიბოს უჯრედების გავრცელება ორგანიზმის სხვა უჯრედებში.

11. კიბოს მკურნალობის ყველაზე ეფექტურ მეთოდად ითვლება კიბოს უჯრედების შიმშილი. როგორც ყველა უჯრედს, კიბოს უჯრედსაც სჭირდება საკვები.

რითი იკვებებიან კიბოს უჯრედები:

ა) შაქარი არის კიბოს მთავარი საკვები. გადავუჭრათ შაქარი - ეს ნიშნავს, შევუწყვიტოთ კიბოს უჯრედს ყველაზე მთავარი საზრდოს მიწოდება. შენიშვნა: შაქრის შემცვლელებიც არის ორგანიზმისთვის მავნე. ყველაზე საუკეთესო შემცვლელი არის თაფლი, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. ხოლო, რაც შეეხება სუფრის მარილს, მას აქვს ქიმიური შემადგენლობა ისეთი, რომელიც ჯობია ჩავანაცვლოთ ალტერნატიული ზღვის მარილით.

ბ) რძე: ორგანიზმში ის იწვევს ლორწოს წარმოშობას, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. ლორწო კვებავს კიბოს. რძისა და მისი შემცვლელების მიღების ან შეზღუდვის შემთხვევაში კიბოს უჯრედები შიმშილს განიცდიან.



გ) კიბოს უჯრედები ჰყვავიან მჟავიან გარემოში. სწორედ ამიტომ საქონლისა და ღორის ხორცის მიღება კატეგორიულად მიუღებელია, სასურველია, მიიღოთ თევზი და ცოტაოდენი ქათმის ხორცი. ხორცი ასევე შეიცავს პარაზიტებს და ყველაფერი ეს მავნეა, განსაკუთრებით კიბოთი დაავადებული ადამიანებისთვის.

დ) დიეტა, რომელიც 80% ბოსტნეულსა და მის წვენებზეა ორიენტირებული, აგრეთვე ბურღულეული და ხაზგასმით, ცოტა ხილი ეხმარება ორგანიზმს აღმოჩნდეს ტუტე გარემოში, დაახლოებთ 20% შეიძლება იყოს მოხარშული საკვები, მათ შორის, ლობიო, რომლებიც ადვილად შეიწოვება და 15 წუთის განმავლობაში საზრდოობს და აძლიერებს ჯანსაღი უჯრედების ზრდას.

ე) კატეგორიულად მოერიდეთ ყავას, ჩაის და შოკოლადს – ყველაფერს იმას, რაც მაღალი დოზით კოფეინს შეიცავს. მწვანე ჩაი საუკეთესო ალტერნატივაა, რომელსაც აქვს სოლიდური თვისებები კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად. წყალი, სასურველია, ვსვათ გამოხდილი ან გაფილტრული, რათა თავიდან ავიცილოთ ტოქსინები და მძიმე ლითონები, რომელიც ონკანის წყალშია.

12. ხორცის ცილა ძნელად მოსანელებელ ფერმენტებს შეიცავს. ნაწლავებში დარჩენილი გადაუმუშავებელი ხორცი იწვევს ტოქსინების დაგროვებას.

13. კიბოს უჯრედების კედლებს აქვს ცილის მკვრივი საფარველი. საჭიროა, თავი შეიკავოთ ხორცის ჭამისგან, რაც ათავისუფლებს ორგანიზმს იმ ფერმენტებისგან, რომელიც კიბოს უჯრედების გარსის ცილით გამყარებას იწვევს და აძლევს ორგანიზმს საშუალებას, შესუსტებული კიბოს უჯრედები გაანადგუროს.

14. ზოგიერთი დანამატი, როგორიც არის ანტიოქსიდანტები, ვიტამინები და მინერალები, აძლიერებს იმუნურ სისტემას და ორგანიზმს აძლევს საშუალებას, გამოყოს კიბოს „ქილერ უჯრედები“ (მკვლელი უჯრედები), რომლებიც ანადგურებენ კიბოს.

15. კიბო ეს არის – გონების, სულის და ფიზიკური სხეულის დაავადება. აქტიური და პოზიტიური სულისკვეთება ხელს უწყობს კიბოსთან ბრძოლას, რადგან ამ პირობებში ძლიერდება ორგანიზმის კიბოს მკვლელი და მებრძოლი ფუნქცია, ხოლო უიმედობა, დეპრესია აყენებს სხეულს სტრესულ მდგომარეობაში, რაც ორგანიზმში ქმნის მჟავიან გარემოს, ხოლო ეს უკანასკნელი კიბოსთვის ხელსაყრელი მდგომარეობაა. ისწავლეთ, დაისვენოთ და დატკბეთ ცხოვრებით, იყოთ მოსიყვარულენი და მიმტევებელნი.

16. კიბოს უჯრედები ვერ აყვავდებიან ჟანგბადიან გარემოში. ყოველდღიური ღრმა სუნთქვა, რათა მიიღოთ უფრო მეტი ჟანგბადი, თვით უჯრედების დონეზე, აუცილებელია. ჟანგბადის თერაპია არის კიდევ ერთი საშუალება კიბოსგან განსაკურნებლად.

◎ ტესტი

შემოდგომის დღეები — ავადმყოფობის დრო არაა!

შემოდგომა — ეს არა მხოლოდ ხავერდოვანი სეზონი და ოქროს პერიოდია, არამედ მოდის სიცივეებიც, რაც წლევანდელმა შემოდგომამ ერთ პერიოდში დაგვიმტკიცა კიდეც საქართველოში (ხომ გახსოვთ, ოქტომბრის ბოლოს ერთ პერიოდში ტემპერატურა სამ დღეში 20-25 გრადუსით დავარდა). ამავე დროს შემოდგომა არის იმ პერიოდის დასაწყისიც, როდესაც ზოგიერთი ჩვენგანი გახშირებით ვაცემინებთ და ვახველებთ.

უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და გაიგეთ, რამდენადაა თქვენი ორგანიზმი მზად, დაუპირისპირდეს ამგვარ უსიამოვნებებს.

1. ხშირად გიჩნდებათ პრობლემები დაძინებასთან დაკაშვირებით?
ა) დიახ; ბ) არა.
2. მას შემდეგაც კი, რაც დილით დარეკავს მაღვიძარა, იღვიძებთ გაჭირვებით?
ა) დიახ; ბ) არა.
3. გირჩევნიათ ზედმეტი ხუთი წუთი იკოტრიალო ლოგინში, ვიდრე ის, რომ მიიღოთ კონტრასტული შხაპი?
ა) დიახ; ბ) არა.
4. სწორია, რომ თქვენი ძილი საშუალოდ გრძელდება არანაკლებ ექვსი-შვიდი საათისა დღეში?
ა) დიახ; ბ) არა.
5: ჯდომითი სამუშაო გაქვთ?
ა) დიახ; ბ) არა.
6. მეგობრობთ სპორტთან, რეგულარულად ასრულებთ გამამხნევებელ ვარჯიშებს და (ან) დადიხართ სატრენაჟორო დარბაზში?
ა) დიახ; ბ) არა.
7. ზოგჯერ გრძნობთ მოულოდნელ დაღლილობას, თუმცა, საერთოდ არ გადაღლილხართ?
ა) დიახ; ბ) არა.
8. იშვიათად ხართ სუფთა ჰაერზე.
ა) დიახ; ბ) არა.
9. ეწევით?
ა) დიახ; ბ) არა.
10. ჩვეულებრივად თუ გყოფნით დრო, რომ დაისვენოთ სამუშაო დღის შემდეგ?
ა) დიახ; ბ) არა.
11. გახდით გაღიზიანებული, ხოლო ის, რაც განწყობილებას გიუმჯობესებდათ ადრე, უკვე აღარ გახარებთ?
ა) დიახ; ბ) არა.
12. სტრესი თქვენს ცხოვრებაში იშვიათი სტუმარია?
ა) დიახ; ბ) არა.
13. გაქვთ ხოლმე თავბრუსხვევა და (ან) გაწუხებთ თავის ტკივილი?
ა) დიახ; ბ) არა.
14. თუ აწარმოებთ თავის გამოწრთობას?
ა) დიახ; ბ) არა.
15. თუ ამჩნევთ ხოლმე, რომ ქუჩაში, მიუხედავად თბილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა, მალე გეყინებათ ხელები და (ან) ფეხები?
ა) დიახ; ბ) არა.
16. თქვენს მენიუში ყოველთვისაა ხილი და ბოსტნეული?
ა) დიახ; ბ) არა.
17. და თითქოსდა მცირე დატვირთვის დროს გული იწყებს აჩქარებულ ცემას?
ა) დიახ; ბ) არა.
18. ცდილობთ დაიცვათ კვების რაციონალური რეჟიმი?
ა) დიახ; ბ) არა.
19. თქვენი წონა ნორმის ფარგლებშია?
ა) დიახ; ბ) არა.
20. თუ გაწუხებთ ქრონიკული დაავადებანი?
ა) დიახ; ბ) არა.

ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერეთ 2 ქულა, პასუხზე „ბ“ — ქულები არ ირიცხება.

შეაჯამეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნა

0-10 ქულა. თუ თქვენს პასუხებში გულწრფელი იყავით, შეგიძლიათ, იგულისხმოთ, რომ თქვენი ორგანიზმი წარმატებით გაართმევს თავს შემოდგომის პერიოდის ყველა გამოცდას იმის წყალობით, რომ თქვენ წარმატებით უხამებთ ერთმანეთს პროფილაქტიკურ საშუალებებს ცხოვრების ჯანსაღ წესს. ერიდეთ ადამიანთა დიდი თავშეყრის ადგილებს და ნუ გაცივდებით.

12-24 ქულა. თქვენ იზიარებთ აზრს: „ადამიანი, რომელიც არ ზრუნავს თავისი ჯანმრთელობისთვის, ჰგავს სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეს, რომელსაც არ სცალია, წესრიგში მოიყვანოს თავისი ინსტრუმენტები“. მიუხედავად ამისა, სწორედ სეზონთაშორის პერიოდში მეტი ყურადღებით მოეკიდეთ საკუთარ ჯანმრთელობას. გაციების დაავადებათა პროფილაქტიკის სახით გამოიყენეთ ისეთი საერთო გამაჯანსაღებელი სახალხო საშუალებები, როგორიცაა ძახველი (ყოველივე სხვა რამის გარდა, იგი გვეხმარება დავმშვიდდეთ და მოვიხსნათ დაძაბულობა), ძახველი, ქაცვი (შეიცავს ვიტამინების კომპლექსს — შესანიშნავად ამაღლებს იმუნიტეტს), ლიმონი, მოცხარი, თაფლი და, რასაკვირველია, ტრადიციული ხახვი და ნიორი. ნუ გადაიღლებით და უფრო ხშირად იყავით სუფთა ჰაერზე. აგრეთვე, ნუ დაიზარებთ, გაიკეთოთ აუცილებელი პროფილაქტიკური აცრები, რისთვისაც მანამდე აუცილებლად მიიღეთ ექიმის კონსულტაციები. გახსოვდეთ: დაავადების თავიდან აცილება ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე მკურნალობა!

26-40 ქულა. უნდა იფიქროთ იმაზე, როგორ შეიცვალოთ ცხოვრების წესი. და უმჯობესია, ეს საკითხი არ გადადოთ შორი პერიოდისთვის. ეცადეთ, მეტი იმოძრაოთ! უპირატესობა მიანიჭეთ ფეხით სეირნობას და არა ტრანსპორტით. დილა დაიწყეთ თუნდაც ხანმოკლე ვარჯიშით. ეცადეთ, გვერდი აუაროთ სტრესულ სიტუაციებს და დაიცვათ კვების სწორი რეჟიმი. მარტივი მასაჟის დახმარებით გაიმაგრეთ სისხლძარღვები. მასაჟის ჯაგრისით (ან მაგარი პირსახოცით) გაიწმინდეთ ფეხის ტერფები და ხელისგულები, განსაკუთრებით ხანგრძლივი გასეირნების წინ. ასეთი მარტივი პროცედურა გაგიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას, რაც დაგეხმარებათ, იოლად გადაიტანოთ სიცივე. და, თუ ეს არასოდეს ადრე არ გაგიკეთებიათ, ექიმთან კონსულტაციის შემდეგ გაიარეთ ვაქცინაცია გრიპზე (ერთ-ერთი საწინააღმდეგო მაჩვენებელი შეიძლება იყოს ალერგია ვაქცინის კომპონენტებზე).

◎ ინფორმაცია

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო საბჭო გადაირჩიეს

ეს გადაწყვეტილება თეატრის გუშინდელ საერთო კრებაზე მიიღეს.

როგორც სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კინწურაშვილმა განაცხადა, საბჭოს გადარჩევის თაობაზე გადაწყვეტილებას ის არ იღებს. მისივე თქმით, მან საერთო კრებაზე წარადგინა სამხატვრო საბჭოს ახალი მოდელი, სადაც გაწერილი იქნება საბჭოს უფლებამოსილებები და მოვალეობები.

ოპერისა და ბალეტის თეატრის უფლება-მოვალეობებში

შემდეგი კრიტერიუმები განისაზღვრა: სამხატვრო საბჭოს დანიშნულებასა და ფუნქციას წარმოადგენს თეატრის საქმიანობის ხელშეწყობა; სამხატვრო ხელმძღვანელისთვის კონსულტაციის გაწევა ადმინისტრაციულ და საკადრო საკითხთან დაკავშირებით; შემოქმედებითი დასის წევრთა საქმიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში წერილობითი დასკვნის მომზადება; თეატრის საერთო პოლიტიკის განვითარებისა და სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

რაც შეეხება კითხვას თუ რატომ არ მოხდა არსებული შემადგენლობით სამხატვრო საბჭოსთვის ამ მოდელის დამტკიცება, კინწურაშვილის თქმით, ამაზე გადაწყვეტილებას საერთო კრება იღებს.

მისივე თქმით, სამხატვრო საბჭოსთან დაკავშირებულ ცვლილებებს კრების 143-მა მონაწილემ დაუჭირა მხარი, 53 კი წინააღმდეგი წავიდა.

ამასთან, მისივე თქმით, სახელფასო პოლიტიკას რაც შეეხება, შემოქმედებით გუნდს აქვს ძალიან კარგი პირობები.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **გუშინ** ხანძარი გამიჩნდა. მთელი ჩემი ბიბლიოთეკა ჩაიფერფლა.?
— გულწრფელად გითანაგრძნობთ.
— გმადლობთ. მართლაც დიდი უბედურებაა. ორივე წიგნი დამეწვა. თანაც ერთი საერთოდ არ მქონდა გადაშლილი.

* * *

— **რატომ** აქვთ მამაკაცებს ღილები მარჯვნივ, ქალებს კი — მარცხნივ?
— ელემენტარული ამბავია, ვატსონ, მარჯვენა ხელით უფრო მოსახერხებელია საკინძის გახსნა.

* * *

— **ასე** ხმამაღლა რომ ღრიალებენ, ის ხუთი ტყუპისცალი ხომ არ არიან, ამ დილას რომ დაიბადნენ? — ეკითხება ექთანი თავის კოლეგას.
— არა, ეს იმათი მამაა.

* * *

— **მარო**, თუ ჭკვიანი გოგო იქნები და კარგად ისწავლი, კომპიუტერს გიყიდით.
— თუ ცუდად ვისწავლი?
— მაშინ — პიანინოს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24